პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მაღამლითა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOS DEPUTATOV TRUDJASHCHIXSJA GRUZINSKOI SSR

გამოდის 29-ე წლიდან

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 29 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1948 წ. № 128 (8172). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲘᲠᲘᲡ:

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ — მოწონავე (1-ლი გვერდი).

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ — 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ (1-ლი გვერდი).

ᲒᲐᲖᲐᲕᲗᲯᲠᲝᲑᲔᲡᲗᲝᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲙᲘᲚᲔᲕᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲒᲐᲛᲐᲪᲘᲜᲗᲝᲗ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ (1-ლი გვერდი).

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲠᲘᲡᲐᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ (მე-2 გვერდი).

ტ. თოდრაძე — რა ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲐ ᲛᲝᲬᲘᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲐᲛ (მე-3 გვერდი).

ბ. თათარიშვილი — ᲐᲑᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ (მე-3 გვერდი).

შალვა ᲙᲐᲨᲛᲐᲫᲔ — ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲕᲐᲜᲔᲛ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲕᲘᲡᲗᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲛᲔᲓᲐᲒᲘᲪᲘᲜᲝᲑᲐᲡ (მე-3 გვერდი)

ᲣᲪᲮᲝᲗᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ პარტიის პრობაგანდისტულ მუშაობაში განსაკუთრებით დიდი ბეჭედვითი სიტყვის — გაზეთების, ჟურნალების, წიგნების როლი. წიგნი არის ძასებში ცოდნის შეტანის წყარო. წიგნების გამოცემის სისტემატური ზრდა წარმოადგენს ჩვენი ქეყანის კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქეყანაში შეიქმნა გამომცემლობათა უდიდესი ქსელი. ყოველწლიურად იბეჭდება და ვრეცელდება ძასებში ასობით მილიონი წიგნი. მარტო გასული წლის განმავლობაში გამოიცა 30 ათასი სახელწოდების 540 მილიონი ეგზემპლარი წიგნი და ბროშურა. მნიშვნელოვანი წარმატებები აქეთ ამ მიმართულებით საქართველოს საგამომცემლო ორგანიზაციებს. ქართულ ენაზე დიდი ტირაჟებით გამოიცემელია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულების ტომები, ამხანაგ სტალინის მოკლე ბიოგრაფია, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მრავალი სხვა ნაშრომი. მიმდინარე წელს გამოიცემა ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის ხუთი ტომი და ი. ბ. სტალინის თხზულებათა ოთხი ტომი. ქართულ ენაზე ამ ნაშრომების გამოცემა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე მხატვრული და მეცნიერული წიგნების გამოცემის მხრივ. სერიოზული მუშაობაა გაწეული ქართული ლიტერატურის კლასიკოსების თხზულებათა გამოცემის, თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებების, რუს და უცხოელ კლასიკოსთა რჩეული თხზულებების გამოცემის საქმეში. ქართველმა მკითხველმა ამ მიმართულებით მრავალი კარგი, იდეურად და მხატვრულად მაღალხარისხოვანი წიგნი მიიღო. ნაყოფიერი მუშაობაა ჩატარებული მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათის ლიტერატურისა და დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ორგანულური და ნათარგმნი სახელმძღვანელოების გამოცემის მხრივაც. გაძლიერდა ყურადღება და ზრუნვა წიგნების გაფორმებისა და ტექნიკური ღირსების ამაღლებისათვის.

მაგრამ შეცდომა იქნება, თუ ვიტყოლისხმეთ, რომ ამ მხრივ თითქმის ყველაფერი რიგზე იყოს და ჩვენ საგამომცემლო ორგანიზაციებს არ ჰქონდეთ ნაკლი მუშაობაში.

დღეს ჩვენ ვაქეთეწუნებთ ანგარიშს საქართველოს სსრ გამომცემლობათა მუშაკების თათბირისა, რომელიც 23-24 ივნისს ჩაატარა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრობაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ. თათბირმა რესპუბლიკურ, საოლქო და საოქრუგებო გამომცემლობათა მუშაობაში გამოაშკარაცა სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც სასწრაფოდ აღმოფხვრასა და გამოსწორებას ითხოვენ. ჩვენი გამომცემლობების მიერ გამოცემული წიგნებიდა გარკვეული რაოდენობა თავისი თემატიკით დაშორებულია თანამედროვეობის აქტიურ საკითხებს, ჯერ კიდევ იბეჭდება ისეთი წიგნები, რომლებშიც დაშვებულია უხეში თეორიული და პოლიტიკური შეცდომები, მხატვრულად დაბალხარისხოვანი ანა ეერ უპასუხებენ საბჭოთა მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებას. ასეთი ხასიათის წიგნები ზეობით აწყვია საწყობებსა და ჩიგნის მაღაზიების თაროებზე, მათ მკითხველი არ ეტანება, ისინი ზუნს წარმოადგენენ გამომცემლობათა მუშაობაში. მაგალითად, გასული წელს სახრით ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემულ რამდენიმე წიგნში დაშვებული იყო უხეში პოლიტიკური შეცდომები, დამახინჯებით იყო ახსნილი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა. ეს წიგნები სასტიკად იქნა გაკრიტიკებული ჩვენი პრესის მიერ, უხეში შეცდომებით ხასიათდება აფხაზეთისა და აჭარის სახელმწიფო გამომცემლობათა, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას", უნივერსიტეტისა და სამედიცინო გამომცემლობის მიერ გამოცემული ზოგიერთი წიგნი. ჩვენმა პრესამ და საზოგადოებრიობამ სათანადოდ გააკრიტიკეს აგრეთვე საქართველოს სახელმძღვანელოების მიერ გამოცემული ზოგიერთი სახელმძღვანელო და სახელმძღვანელოებიდან, რომლებშიც აეტორები ინერდნენ ბორჯ ქედმოხრას დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ესტეტიკისა და მეცნიერების მიმართ, უგულებელყოფდნენ რუს და საბჭოთა ახვა ხალხების მეცნიერებისა და კულტურის მონაპოვართა როლს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

ყოველი არაკეთილსინდისიერი წიგნი სერიოზულ ზიანს აყენებს ჩვენი პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას, მასების კულტურულობისა და შეგნებულობის დონის ამაღლებას. საბჭოთა მკითხველი გამომცემლობისადან მოითხოვს მაღალიდეური წიგნს, რომელიც გაამდიდრებს მის ცოდნას, მოუგრეხს ძმაყოფილებას თავისი მხატვრული ღირსებით.

წიგნების მაღალიდეური დონე, მათი პოლიტიკური გამართულობა ბევრად არის დამოკიდებული გამომცემლობებზე, მათს ხელმძღვანელობაზე. საკირაოა ესე დავაყენოთ საქმე, რომ ჩვენი გამომცემლობები წარმოადგენდნენ არა ხელსაწყრთა მიღების უბრალო კანტორებს, სადაც მექანიკურად ხდება მათი გადაბეჭდვა და წარმოებაში გადაცემა, არა საფოსტო ყუთებს, რომლებიც მიიღებენ ყოველგვარ პროდუქციას, რასაც მათ მიუტანენ, არამედ ისე მოვაწყოთ მუშაობა, რომ ყოველი გამომცემლობა გადაჭექცეთ იდეოლოგიურ ციხე-სიმაგრედ, მეცნიერებათა, ლიტერატურაში, ტექნიკაში პარტიულობის ბოლშევიკური პრინციპებისათვის მებრძოლ ფხიზელ მომუშავე ორგანიზაციად. ყოველი ნაშრომი, ვიდრე იგი წარმოებაში მოხვდება, გულმოდგინე დამუშავებასა და დაზუსტებას უნდა განიცდიდეს გამომცემლის, რედაქტორის ხელში. როგორც წესი, წიგნი, რა ხასიათისაც უნდა იყოს იგი, არ უნდა იცემოდეს წინასწარი რეცენზიის, შემოწმების, რედაქციული და ლიტერატურული დამუშავების გარეშე. მაგრამ ზოგჯერ ეს ასეა. ასეთი მოვლენა ეროვნულ-ეროვნული ბასიათის ლიტერატურისა და დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ორგანულური და ნათარგმნი სახელმძღვანელოების გამოცემის მხრივაც. გაძლიერდა ყურადღება და ზრუნვა წიგნების გაფორმებისა და ტექნიკური ღირსების ამაღლებისათვის.

მაგრამ ჩვენ ფაქეიზენ ანგარიშს საქართველოს სსრ გამომცემლობათა მუშაკების თათბირისა, რომელიც 23-24 ივნისს ჩაატარა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრობაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ, თათბირმა რესპუბლიკურ, საოლქო და საოქრუგებო გამომცემლობათა მუშაობაში გამოაშკარაცა სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც სასწრაფოდ აღმოფხვრასა და გამოსწორებას ითხოვენ. ჩვენი გამომცემლობების მიერ გამოცემული წიგნებიდა გარკვეული რაოდენობა თავისი თემატიკით დაშორებულია თანამედროვეობის აქტიურ საკითხებს, ჯერ კიდევ იბეჭდება ისეთი წიგნები, რომლებშიც დაშვებულია უხეში თეორიული და პოლიტიკური შეცდომები, მხატვრულად დაბალხარისხოვანი ანა ეერ უპასუხებენ საბჭოთა მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებას. ასეთი ხასიათის წიგნები ზეობით აწყვია საწყობებსა და წიგნის მაღაზიების თაროებზე, მათ მკითხველი არ ეტანება, ისინი ზუნს წარმოადგენენ გამომცემლობათა მუშაობაში. მაგალითად, გასული წელს სახრით ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემულ რამდენიმე წიგნში დაშვებული იყო უხეში პოლიტიკური შეცდომები, დამახინჯებით იყო ახსნილი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა. ეს წიგნები სასტიკად იქნა გაკრიტიკებული ჩვენი პრესის მიერ, უხეში შეცდომებით ხასიათდება აფხაზეთისა და აჭარის სახელმწიფო გამომცემლობათა, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას", უნივერსიტეტისა და სამედიცინო გამომცემლობის მიერ გამოცემული ზოგიერთი წიგნი. ჩვენმა პრესამ და საზოგადოებრიობამ სათანადოდ გააკრიტიკეს ეს ნაშრომები.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ—7 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲪᲐᲚᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲫᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲒᲘᲜᲐᲑᲘ

წარმატებით ანაღდებენ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლები და მოქმედ საწარმოთა კოლექტივები. ვადაამდე შეასრულეს საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა მარტენის საამქროს ბრძმედშენის მშენებლებმა (უფროსი ამხ. ვაშაკიძე).

ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა ნახევარი წლის გეგმის შესრულება საბინაო მშენებლობის კოლექტივმა (უფროსი ამხ. ზაძთარაძე). მეტალურგთა სოციალისტური ქალაქის — რუსთავის მშენებლებმა 15 ივნისს 102 პროცენტით შეასრულეს წლის პირველი ნახევრის გეგმა და ეროვნ კვარტალში, 1 ივნისამდე საექსპლოატაციოდ გადაასცეს 1.260 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ბინათმშენებლები ფართოდ იყენებენ მშენებლობაში ინდუსტრიულ მეთოდებს და მეორე კვარტალის ბოლოდან დამატებით საექსპლოატაციოდ გადასცემენ კიდევ ორ ოცბინიან სახლს, საერთო საცხოვრებელს და 7 კოტეჯს. საბინაო მშენებლობის ნახევარი წლის გეგმები დიდი ხანია გაანაღდეს ახალგაზრდა მუშებმა მ. შენგელიძემ, გ. ხორბალაძემ, ა. ეტკოკემა და სხვ.

მოქმედ საწარმოთა შორის, რომლებმაც ნახევარი წლის გეგმები შეასრულეს, მოწინავეთა რიგებშია ტრესტ „მეტალურგშენის" მექანიკური ქარხანის (დირექტორი ამხ. ყანჩელი) კოლექტივი. ამჟამად აქ წარმატებით მუშაობენ ბულაჩაურის წყალსაცავისათვის საჭირო დიდი მოცულობის ბეტონის მილების ყალიბების დამზადებაზე. მშენებლობის ბეტონის ცენტრალური კომბინატი უკვე შეუდგა ახალი ყალიბებით მილების დამზადებას.

ნახევარი წლის დაკალენი ვადამდე შესასრულეს აგრეთვე მეტალურგიული ქარხნის მოქმედი საამქროების კოლექტივებმა. ახალგაზრდა მეტალურგებმა თბილისელ ტრანსდგურის მშენებლებს დაუმზადეს 380 ტონა ლითონრსტრუქცია, ანარატურა წყლის ქიმიური გასუფთავებისათვის და არასტანდარტული მოწყობილობა.

Ა. ᲙᲘᲚᲔᲫᲐᲫᲔ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲨᲐᲥᲠᲘᲡᲬᲘᲜᲓᲐᲠᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲗᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ

დიდი შრომითი ამაღლებაა ბათუმის ქარხნებსა და ფაბრიკებში, რკინიგზის კვანძზე და ნავსადგურში. „მთავარნავთომრაზაგების" ადგილობრივი განყოფილების საწარმოთა კოლექტივები თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ თბილისელთა მოწოდების პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში. ისინი ენერგიას არ ზოგავენ იმისათვის, რომ საქმედ აქციონ თავიანთი სიტყვა. ბათუმელი მენავთეები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული „მთავარნავთომთაბაგების" ოდეესის სასაკონლო-ატ-რანსპორტო სამმართველოს საწარმოთა კოლექტივებთან და შეუნელებელი შრომით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს: ნავთპროდუქტთა გადაზიდვის 5 თვის გეგმა მათ 110,5 პროცენტით შეასრულეს, მარტო რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთზიდვის დავალებანი 263 პროცენტით შესრულდა. ოქნისის საწარმოო დავალებათა ნახევარზე მეტი 12 ივნისამდე იყო განაღდებული. ყველაზე წინ მიდის მეორე ბაზის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი.

სავაჭრო ნავსადგურის მუშებმა და მოსამსახურეებმა 5 თვეში ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს და მეტი ენერგიით გააბიეს შრომა მთელი წლის პროგრამის 7 ნოემბრამდე შესრულების უზრუნველსაყოფად. ამ დღეებში სადგურის მუშებმა 14 სათით ადრე გადამტვირთეს ხე-ტყით დატვირთული გემი „ბარშალო ტოლბუხინი".

რკინიგზის კვანძის საწარმოების — საორთქლმავლო და სავაგონო დეპოების, სატვირთო და სამგზავრო სადგურების, აგრეთვე სალიანდაგო დისტანციის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივები, ხაშურის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივის მაგალითისამებრ, თავდადებით ებრძვიან რკინიგზელის საკვანძო დღეებად — პირველ აგვისტომდე 9 თვის საწარმოო გეგმის შესრულებისათვის. საკავონო დეპოს კოლექტივი 1 აგვისტომდე შეასრულებს სამგზავრო და სატვირთო ვაგონების როგორც კაპიტალური, ისე საშუალო და წლიური რემონტის 9 თვის დაკალებებს, 22 მეკვაგონემ უკვე გაანაღდა მთელი წლის გეგმა.

Ჯ. ᲠᲣᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲬᲐᲣᲗᲝᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ 20-მდე საწარმომ ვადამდე დაამთავრა სამეურნეო წლის პირველი ნახევრის გეგმა და ახლა წლის მეორე ნახევრის ანგარიშში ამზადებს პროდუქციას.

ქიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ 6 თვის დაკალება 15 ივნისისათვის 105,6 პროცენტით შეასრულა და ამ ხნის განმავლობაში დაამზადა 3.075.200 მანეთის პროდუქცია. დაზოგილია 10 ათასი მეტრი ქსოვილი და გაწეულია 715.100 მანეთი ეკონომია.

რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა შორის ერთი პირველთგანია საკონდიტერო ფაბრიკა, რომელმაც ნახევარი წლის გეგმა 122,2 პროცენტით შეასრულა. ნახევარი წლის გეგმა ვადამდე შეასრულა აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა.

მომდინარე წლის ექვსი თვის დაკალების შესრულების საქმეში ასევე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს სამთო მაწკანთმშენებლობის ქარხნის მუშებმა, საკოსნერო ქარხანამ, კირის ქარხანამ და სხვა საწარმოებმა.

თელავის ᲐᲮᲠᲘᲨᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲡ კოლექტივმა 22 ივნისისათვის შეასრულა ნახევარი წლის გეგმა და დაზოგა 8 ტონა პარკი. შრომის ნაყოფიერების გადიდებით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მარტო ხუთი თვის განმავლობაში ფაბრიკამ სახელმწიფოს მისცა 1.044 ათასი მანეთი მოგება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 521 ათასი მანეთისა.

ᲪᲮᲘᲐᲚᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲛ, რომელის კოლექტივი სურამის კირის ქარხნის კოლექტივს ეჯიბრება წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად, 20 ივნისისათვის 137 პროცენტით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. გამოშვებულია 4.520 ტონა კირი და 5.112 ტონა სშენი ქვა. ცხინვალელებს ვ. დანელიას, ა. გელაშვილს, შ. ლომიას, ვ. ლუნინს, ს. დიმიტრეევს, ვ. მოროზოვს, ვ. ვაკულოვს ოთხოთხი წლის ნორმები აქვთ შესრულებული.

ᲒᲐᲖᲐᲣᲗᲯᲠᲝᲑᲔᲡᲗᲝᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲙᲘᲚᲔᲕᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲒᲐᲛᲐᲪᲘᲜᲗᲝᲗ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲒᲐᲛᲐᲪᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" დიდი სიხარული გამოიწვია გორის რაიონის კოლმეურნეთა შორის.

მთავრობის ამ ღონისძიებას კოლმეურნეები ახალი შრომითი ამაღლებით უპასუხებენ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. ხარიბეგაშვილმა, როცა დადგენილებას გაეცნო, განაცხადა:

— საბჭოთა მთავრობის ახალი დადგენილება კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საქმის გაუმჯობესებისა, აღრიცხვის საქმეში სრული წესრიგის დამყარების საბრძოლო პროგრამაა. კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ მუშაობას, ვიბრძოლებთ, რათა მთელი ჩვენი მუშაობა გარდაექმნათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე, მოვიყვანოთ უხვი მოსავალი.

მერკოლეარმა გიორგი პატაშვილმა პირობა დასდო, რომ მეორე 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანს 800 ცენტნერ ბაჭრის პარხალს.

Შ. ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲬᲐᲣᲗᲝᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სოფელ გურჯაანის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს მთავრობის დადგენილება აგიტატორებმა თამარ სიჭინაკაძმ, ნ. თევდორაშვილმა და სხვებმა მინდერად მუშაობის დროს გაიცნეს. მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელმა ნ. კასაბერაშვილმა განაცხადა:

— მთავრობის დადგენილება მოსაცლიანობის გადიდების მძლავრი საშუალებაა. კოლმეურნეთა შორის იგი კიდევ უფრო გაზრდის პასუხისმგებლობას საკოლმეურნეო საქმეთათვის ყველა უბანზე. პირობას ვდებ, რომ 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღებ 65 ცენტნერ სიმინდს, მოსავალს უდანაკარგოდ ავიღებ.

კოლმეურნეებმა გაამლიერეს მუშაობის ტემპი. მეხუთე ბრიგადამ (ბრიგადირი აღ. თუთაშვილი) წარმატებათ დაამთავრა სიმინდის მეორე თოხნა და დაიწყო მესამე თოხნა. მუშახელის ნაწილი გადაყვანილია პურეულის მკაზე. კოლმეურნეობაში თავდადებული შრომით გამოირჩევიან მერგოლეურები: შაქრო კახაბრიშვილი, ალ. გოგანაშვილი, ი. თუთაშვილი და სხვ.

მთავრობის დადგენილებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია აგრეთვე ტელმანისა და ყფაზოვის სახელობის კოლმეურნეობებში, კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციაში" და „კომინტერნში".

ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირებმა ა. გოგინაშვილმა, შ. ჯობახეძმ, ვ. ნაცვალაშვილმა და ფ. ნაცვალაშვილმა აკრიტიკეს ერთიერად გაბარეონ შრომის ნაყოფიერება და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი.

Ი. ᲛᲝᲓᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ქუთაისის რაიონის სოფელ რიონის კოლმეურნეობა „წიალი ვარსკვლავის" საერთო კრებაზე 400-მდე კაცი მოვიდა. სიტყვით გამოსულმა პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. მაღლაფერიძემ ყველას ახრი გამოხატა, როცა სთქვა: — მთავრობის ახალი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება მკაფიო მაგალითს წარმოადგენს იმ დიდი ზრუნვისა და ყურადღებისას, რასაც საბჭოთა მთავრობა და ბოლშევიკური პარტია, დიდი სტალინი მუდამდე იჩენენ სოფლის მეურნეობისადმი. ახალი სანიმუშო ნორმებისა და საბუშაოების შრომადღეებით შეფასების დაგეგნა მძლავრ სტიმულს გვაძლევს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ბრიგადის წევრთა დაკალებით ეკისტრალობ 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 40 ცენტნერი სიმინდი, ხოლო დანარჩენზე 20 პროცენტით გადაკაჭრაში სარაიონო საშუალო მოსავლიანობის გეგმას.

მებაღეობის ბრიგადირმა გ. ზაქარაშვილმა პირობა დასდო 52 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 45 ცენტნერი ვაშლი, მსხალი და ატამი.

კოლმეურნეობის მთელმა კოლექტივმა იკისრა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შეასრულოს 150 პროცენტით, სიმინდის საშუალო მოსავლიანობის გეგმას გადაკაჭრაში 20 პროცენტით.

Ზ. ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲬᲐᲣᲗᲝᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲔᲑᲓᲐᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ

შარშან ჩვენ დიდი გადაკაჭრებით შეეასრულეთ სიმინდის მოსავლიანობის გეგმა, ნაცვლად 14 ცენტნერისა ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ, 16 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კი — 79,87 ცენტნერი. საგრძნობი გადაკაჭრებით შეეასრულეთ ჩაის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის სულადობის განვითარებისა და პროდუქტიულობის გეგმებიც.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დაიფასეს ჩვენი კოლმეურნეობის ნაყოფიერი მუშაობა. გვყავს სამი სოციალისტური შრომის გმირი, ბევრი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

წელს 140 ჰექტარზე მოწყობილი გვაქვს მაღალმოსავლიანი ნაკვეთები, რომელთა თვითეული ჰექტარიდან 70-90 ცენტნერი სიმინდი უნდა მივიღოთ. დანარჩენი ჰექტარების თვითეული ჰექტარიდან ნაგარაუდევი გვაქვს 35 ცენტნერი სიმინდის მოღება.

სერიოზულ წარმატებას ვაღწევთ ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეშიც. წელს ქეეყანას გეგმის ზევით სულ ცოტა 30 ტონა ჩაის ფოთოლს მივეცემთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მეცხოველეობის განვითარებას. დადგენილებით გვაქვს შესრულებული სულადობის განვითარების გეგმა. იმატა წველადობამ. შარშან ნაცვლად 500 ლიტრისა თვითეული საფურაგე ძროხისაგან 560 ლიტრი რძე მივიღეთ. წელს ნაკისრი გვაქვს მივიღოთ 700 ლიტრი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება კიდევ უფრო მტკიცედ წაახალისებს კოლმეურნეებს, მტკიცედ დარაზმავს მათ უხვი მოსავლის მისაღებად.

Თ. ᲨᲐᲛᲣᲒᲘᲐ

სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" თავმჯდომარე



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ. ᲡᲪᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲓᲒᲝᲠᲘ: თელეთის მტკ.-ის კომბაინერი ზაკარია ძახიშვილი, რომელიც სოფელ კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყანაში ყოველდღიურად 8 ჰექტარის ნაცვლად მარცვლეულს ხ ილებს 12-14 ჰექტარზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

გამომცემლობათა მუშაკების რესპუბლიკურ თათბირზე

23-24 ივნისს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დარბაზში შესდგა გამომცემლობათა მუშაკების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მოიწვია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა.

თათბირი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. **რ. შადურმა.**

თათბირმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილის ამხ. **ა. ნუცუბიძის** მოხსენება „საქართველოს სსრ გამომცემლობათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“, დრამატიული თეატრების მუშაობის, კინოფილმ „დიდი ცხოვრების“, ოპერა „დიადი მეგობრობის“ შესახებ საბჭოთა კულტურის შემდგომი აყვავების პროგრამა გახდა. ამ ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, აგრეთვე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა „ოგიზის“ (სახელმწიფო გამომცემლობათა გაერთიანების) მუშაობისა და წიგნების პოლიგრაფიული გაფორმების შესახებ უდიდესი გავლენა მოახდინეს ჩვენს საგამომცემლო საქმეზე, აამაღლეს გამოშვებული წიგნების იდეური დონე, გააუმჯობესეს წიგნის ბეჭდვის ხარისხი.

— საქართველოში, — განაგრძობს მომხსენებელი, — ჩვიდმეტი გამომცემლობაა. დიდია მათი როლი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეათა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტური იდეოლოგიის პროპაგანდაში. თვითეული ჩვენი გამომცემლობის მუშაობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ლიტერატურას უშვებს იგი, გამსჭვალული უნდა იყოს მაღალი იდეურობით და ბოლშევიკური პრინციპულობით. ყოველივე ეს ჩვენს გამომცემლობებს — დირექტორებს, რედაქტორებს, რეცენზენტებს, თვითეულ მუშაკს ავალებს მთელი სერიოზულობით მოეკიდოს დაკისრებულ დიდმნიშვნელოვან საქმეს, იდგეს სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების სადარაჯოზე.

მომხსენებელი აღნიშნავს საგამომცემლო საქმის ერთგვარ გაუმჯობესებას და ლაპარაკობს „საბჭოთა მწერლის“ პროდუქციაზე („სტალინს“ — საქართველოს პოეტების ლექსთა კრებული, „სამშობლო“ — რჩეულ ნაწარმოებთა კრებული პატრიოტულ თემებზე, „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“) და სახელგამის პროდუქციაზე, რომელმაც მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებთა, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშთა, ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა ქართულ ენაზე გამოსაცემად.

— მაგრამ, — განაგრძობს ამხ. ნუცუბიძე, — მეტწილ ჩვენს გამომცემლობებს, მათ შორის ზემოთ დასახელებულთაც, ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ მთლიანად თავიანთი მუშაობა მათთვის წაყენებულ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით. მთელი რიგი გამომცემლობანი განაგრძობენ ძველი მეთოდებით მუშაობას, იჩენენ უდარდელობას, მიჰყვებიან თვითდინებას.

გამომცემლობანი არ მუშაობენ ავტორებთან როგორც წესი, სარედაქციო და საგამომცემლო საბჭოები უმოქმედოდ არიან, საგამომცემლო მუშაკთა კვალიფიკაცია ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე როდი დგას. ყოველივე ეს იწვევდა სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომებსა და იდეოლოგიურ დამახინჯებებს ზოგიერთი გამომცემლობის მუშაობაში.

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობამ 1947 წელს გეგმის გარეშე გამოუშვა „აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ნაშრომები“, რომელიც შეიცავს დოცენტ ი. ანთელავას ანტიმეცნიერულ სტატიას, რაც ამახინჯებს აფხაზეთის ისტორიას. მანკიერი იყო ბროშურა „საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია“ და წიგნი „თბილისის ისტორიული ადგილები“, რომელიც გამოსცა სახელგამმა.

იმავე გამომცემლობამ შარშან გამოუშვა გ. ქიქოძის იდეურად უცხო წიგნი „ქართული ლიტერატურის ისტორია. XIX საუკუნე“, რომელიც ჩვენმა პრესამ სამართლიანად გააკრიტიკა.

დიდი საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობის წიგნის გამოცემას უპასუხისმგებლოდ მოეპყრო სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა. გარდა ამისა, მან გამოუშვა მთელი რიგი იდეურად და მხატვრულად სუსტი წიგნები (პოგოლოვის „გოგის, მშვენიერი მხარისა და ძია მათეს შესახებ“, აბაევის „მეგობრობა“).

მიუხედავად მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესებისა, „საბლიტგამმა“ გამოუშვა მთელი რიგი მცდარი და უხარისხო წიგნები (დ. თურდოსპირელის „საბავშვო მოთხრობები“ და სხვ.).

უიდეო და სუსტი ნაწარმოებები გამოუშვა აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ (კ. რუხაძის „ქედირ დედე“ და პ. ლორიას „ოქროს ვარსკვლავი“).

ამხ. ნუცუბიძე ლაპარაკობს გამოშვებული წიგნისათვის რედაქტორისა და რეცენზენტის პასუხისმგებლობის ამაღლების ამოცანებზე და აღნიშნავს, რომ ხშირად ლიბერალური და არაობიექტური რეცენზირებისა და შეფასების შედეგად იცემა მავნე, სუსტი ნაწარმოებნი. ასეთია, მაგალითად, „საბჭოთა მწერლის“ მიერ გამოცემული კ. გამსახურდიას ნოველები და ნ. გუდიაშვილის მონოგრაფია „იაკობ ნიკოლაძე“. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“ სავსებით უგულებელჰყოფს საგამომცემლო საქმის წესებს და წიგნებს უშვებს წინასწარი რეცენზირების გაუწევლად.

ამხანაგი ა. ა. ჟდანოვი თავის მოხსენებაში ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ ამბობდა: „... ჩვენ ვეღარ მოვითმენთ ყოველნაირ ლიტერატურას, როგორსაც შემოგვაჩეჩებენ დაუდევარი ლიტერატორები, რედაქტორები, გამომცემლები“.

ამხანაგ ჟდანოვის ამ მითითებიდან სათანადო დასკვნები უნდა გავაკეთოთ. დროა ბოლო მოვუღოთ უდარდელობას საგამომცემლო საქმეში. გამომცემლობათა მუშაობა ძირფესვიანად უნდა გარდაიქმნას. ამ მხრივ დიდი როლი უნდა შეასრულონ გამომცემლობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ამხ. ნუცუბიძე ანალიზს უკეთებს გამომცემლობათა გეგმებს და აღნიშნავს, რომ ისინი შედგენილია გამომცემლობათა რეალური შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად და ყურადღებას იპყრობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა თემატიკის სიმცირით, ისტორიით მეტისმეტი გატაცებით და საბჭოთა პერიოდისადმი მიძღვნილი წიგნების მეტისმეტად მცირე ხვედრითი წონით.

სახელგამის გეგმაში ჯერ კიდევ ასახული არ არის საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა კომუნიზმის აშენებისათვის, რესპუბლიკის წარმატებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე. წელს გამომცემლობას გათვალისწინებული აქვს გამოუშვას სულ 3 ბროშურა: „საქართველოში მძიმე ინდუსტრიის განვითარების შესახებ“ და სოფელ გეგუთისა და სოფელ შრომის კოლმეურნეობათა შესახებ, მაგრამ ჯერ ეს ბროშურებიც არ არის მომზადებული დასაბეჭდად.

ჩამორჩება აგრეთვე სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის გამოცემა. 1947 წელს 101 სახელწოდების ნაცვლად გამოვიდა მხოლოდ 70 სახელწოდების სახელმძღვანელოები. 25 სახელმძღვანელოს გამოშვება ჩაიშალა სახელგამის მიზეზით, დანარჩენები ვერ გამოვიდა დედნების უქონლობის გამო. წელს სახელმძღვანელოების ბეჭდვა გაცილებით ადრე დაიწყო, მაგრამ მდგომარეობა მაინც ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

სახელმძღვანელოების ხარისხი ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე როდი დგას. მაგალითად, ქართული ენის სახელმძღვანელოში მესამე კლასისათვის ვხვდებით მონური ქედმოხრის მაგალითებს უცხოურის წინაშე.

მომხსენებელი აღნიშნავს გამომცემლობათა მიერ გამოშვებული წიგნების, განსაკუთრებით სახელმძღვანელოების მაღალ ფასებს და ამბობს, რომ მათ მიერ გამოცემული წიგნები სხვა რესპუბლიკებში გამოცემულ წიგნებზე ძვირი არ უნდა იყოს.

გამომცემლობათა წაყრუებით ზოგიერთი ავტორი ახერხებს თავისი უხარისხო წიგნების ხელახლა გამოცემას მკითხველის ინტერესების საზიანოდ. ეს, აგრეთვე წიგნების დაბალი პოლიგრაფიული ხარისხი, იწვევს იმას, რომ წიგნები საწყობებში რჩება.

საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს გამოშვებული წიგნის პროდუქციის პოლიგრაფიული გაფორმება და სასტამბო შესრულება. საქართველოს სსრ გამომცემლობათა უმრავლესობა ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევს. წიგნებს აწყობენ ძნელად წასაკითხი შრიფტით, უშვებენ ცუდად დაბეჭდილი ტექსტით, ბუნდოვანი და ჭუჭყიანი ილუსტრაციებით, ცუდად აკინძულს და უშნო ყდით. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ „ტექნიკა და შრომას“ გამომცემლობაში, „მედგამომცემლობაში“, სამხრეთ ოსეთისა და აჭარის სახელმწიფო გამომცემლობებსა და თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა გამომცემლობათა განმტკიცება კვალიფიციური კადრებით, მათი მარქსისტულ-ლენინური მომზადების ამაღლება. მებრძოლი პარტიულობისა და მაღალი იდეურობის სულისკვეთებით უნდა იყოს გამსჭვალული საგამომცემლო აპარატის ყველა რგოლის მუშაობა.

* * *

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ განსახილველი საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ლაპარაკობდნენ საქმის ვითარებაზე გამომცემლობებში, ამხელდნენ ნაკლოვანებებს მათს მუშაობაში, შეჰქონდათ წიგნის გამოცემის საქმის გაუმჯობესებისაკენ მიმართული წინადადებანი.

სახელგამის დირექტორმა ამხ. **ნ. კიკნაძემ** აღიარა, რომ ცენტრალურ გამომცემლობათა მუშაობაში აღმოჩენილი სერიოზული ნაკლოვანებანი სახელგამსაც ახასიათებს.

— ჩვენი გამომცემლობა, — ამბობს იგი, — წლითიწლობით ვერ ასრულებს წიგნების გამოშვების სატირაჟო გეგმას. გამომცემლობა ძალზე ჩამორჩა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემაში. გარდა ამისა, ჩვენ მიერ გამოშვებული მთელი ლიტერატურა როდი აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს. ჩვენ ძალიან გაგვიტაცა შორეულმა წარსულმა, ცოტას ვუშვებთ თანამედროვეობისადმი მიძღვნილ წიგნებს. ხელნაწერებს რედაქცია უკეთდება, როგორც წესი, დაკაბადონებულ ფორმებში, რაც იწვევს სარედაქციო და სასტამბო წუნს. უკანასკნელ წლებში ჩვენს მიერ გამოცემული მთელი რიგი წიგნები დაჰგმო საბჭოთა საზოგადოებრიობამ. ერთ-ერთი მათგანი — გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ სამართლიანად გააკრიტიკა „ლიტერატურნაია გაზეტამ“.

ამხ. კიკნაძემ ილაპარაკა იმ ზომებზე, რაც მიღებულია არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, და დაწვრილებით შეჩერდა წიგნების გაფორმების ნაკლოვანებებზე და დააყენა საკითხი, რომ პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა საქმის სამმართველომ მიიღოს ზომები სახელგამის პოლიგრაფიული ბაზის გასაუმჯობესებლად.

სამხრეთ ოსეთის გამომცემლობის დირექტორმა **გ. ჯატიევმა** სწორად სცნო გამომცემლობის მუშაობის კრიტიკა. მაგრამ მისმა გამოსვლამ ვერ დააკმაყოფილა თათბირის მონაწილენი, ვინაიდან მან არაფერი სთქვა გამომცემლობის სერიოზულ პოლიტიკურ ჩავარდნათა მიზეზებზე და იმაზე, თუ რა ზომებს იღებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ზერელე იყო აგრეთვე გამომცემლობა „ტექნიკა და შრომის“ საწარმოო განყოფილების გამგის ამხ. მ. კუჭაიძის გამოსვლა. მან სცადა სერიოზული დამახინჯებანი მუშაობაში და წიგნის პროდუქციის წუნი „ობიექტური მიზეზებით“ აეხსნა.

გამომცემლობა „საბლიტგამის“ დირექტორმა ამხ. **ვ. კიკნაძემ** ილაპარაკა საბავშვო წიგნების გამოცემაში დასახულ გარდატეხასა და იმ ზომებზე, რომლებსაც გამომცემლობა იღებს საწარმოო-საგამომცემლო გეგმის წარმატებით შესასრულებლად.

ამხ. კიკნაძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ პერიოდული პრესა მცირე რაოდენობით ბეჭდავს ბიბლიოგრაფიულ სტატიებს, მაგრამ ამასთან ერთად მისი გამოსვლა საკმაოდ თვითკრიტიკული არ იყო გამომცემლობის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შეფასებისას, კერძოდ უხარისხო „საბავშვო კალენდარის“ გამოშვების საკითხში, რომელიც პრესამ გააკრიტიკა.

წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქწიგნის დირექტორმა ამხ. **გ. თევზაძემ.**

პოლიგრაფიისა და გამომცემლობების საქმეთა რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა ამხ. **ბ. გოგუამ** ილაპარაკა საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე პოლიგრაფიული წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ და ამასთან ერთად აღიარა სერიოზული ნაკლოვანებანი რესპუბლიკის გამომცემლობებსა და სტამბებში. შეცდომები, ჭრელი ბეჭდვა, ირიბი ჩამოჭრა, უსწორმასწორო დაკეცვა, სუსტი ყდა, — ყოველივე ეს ამცირებს წიგნის ხარისხს და გამოწვეულია გამომცემლობებში ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევით და წიგნის ბეჭდვის კუსტარულობით.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ შეუწყნარებელია, როცა ზოგიერთ გამომცემლობაში ხდება წიგნების გადაკეთება მათი დაბეჭდვის შემდეგ. ასე იყო, მაგალითად, სახელგამში ნ. ლორთქიფანიძის თხზულებათა, „საბლიტგამში“, „საბავშვო კალენდარის“, „ტექნიკა და შრომაში“ მიხელსონის „ფიზიკის“ გამოცემისას. მარტო სახელგამში ხუთი თვის მანძილზე წარმოებაში არსებული წიგნების შესწორებასა და გადაკეთებაზე დაიხარჯა 36.000 მანეთი და გადაიხარჯა ორი ტონა ქაღალდი. ეს კი საკმარისი იქნებოდა საშუალო მოცულობის ხუთი წიგნის გამოსაშვებად.

მკაცრად გააკრიტიკა გამომცემლობათა მუშაობა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების პრესის სექტორის გამგემ ამხ. **დ. მაისურაძემ.**

— გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, — სთქვა მან, — წუნის ბუდედ გადაიქცა, — იმდენად დაბალია მისი პროდუქციის ხარისხი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოშვებული მთელი რიგი წიგნების იდეური დონე არ შეესაბამება დღევანდელი დღის მოთხოვნას. წიგნებს ადგენენ უხარისხოდ, ზერელედ, ხშირად ეს წიგნები მოკლებულია ორიგინალობას, ატარებს კომპილაციურ ხასიათს.

ბევრი გამომცემლობის მუშაობაში არსებულ სერიოზულ შეცდომებს ამხ. მაისურაძე ხსნის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოების უმოქმედობით, რომლებიც, როგორც წესი, ფორმალურად არსებობენ.

„ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობის სამხატვრო ლიტერატურის განყოფილების მთავარი რედაქტორის მოადგილემ ამხ. **ბ. ჟღენტმა** ილაპარაკა ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებების რუსულ ენაზე გამოცემის შესახებ. ათი წლის მანძილზე გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოუშვა ქართველ ავტორთა 200 წიგნი. იგი შეჩერდა გამომცემლობის მუშაობის ნაკლოვანებებზე და აღნიშნა, რომ სარედაქციო-საგამომცემლო გეგმები არარეალურად სდგება და ამიტომ წლითიწლობით არ სრულდება. თარგმნის ხარისხი, განსაკუთრებით მხატვრული პროზისა, დაბალია. ჩვენს მიერ გამოცემული ყველა წიგნი როდია ერთნაირი ღირსებისა. ჟურნალმა „ბოლშევიკმა“ (საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო) სამართლიანად გააკრიტიკა ჩვენს მიერ გამოცემული გ. ბუხნიკაშვილის ისტორიული ნარკვევი „გორი“.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. **ა. შახნაზაროვმა** (ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დირექტორი), **ნ. პაიჭაძემ** (აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი), **ვ. გამყრელიძემ** („მედგამომცემლობის“ დირექტორის მოადგილე).

* * *

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს სექტორის გამგე ამხ. **ა. გუნია.**

— ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — ამბობს ამხ. გუნია, — განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგამომცემლო საქმის განვითარებას. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა იდეოლოგიის საკითხებზე გაჯანსაღება შეიტანეს ცენტრალურ და რესპუბლიკურ გამომცემლობათა მუშაობაში.

პარტიის მითითებანი პრესის ბოლშევიკური პარტიულობის შესახებ, ბურჟუაზიულ შეხედულებათა გაპარების ყოველგვარი ცდის დაუნდობელი მხილების, აპოლიტიკურობისა და უიდეობის შესახებ შეეხება გამომცემლობათა მუშაკებსაც, რომლებიც იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს უბანზე იმყოფებიან.

— საქართველოში, — განაგრძობს ამხ. გუნია, — გამოცემულია მთელი რიგი შესანიშნავი წიგნები. ზოგიერთი მათგანი — „საქართველოს ისტორია“, გ. ლეონიძის პოემა „სტალინი“ და სხვები — სტალინური პრემიის ღირსნი გახდნენ.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ გამომცემლობათა მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია.

არ არის წიგნები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებზე, მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდაზე. ომისშემდგომ ხუთწლედში საქართველოს ეკონომიკა ძირეულად იცვლება, მაგრამ გამომცემლობათა პროდუქციაში ეს უდიდესი გარდაქმნა გამოხატულებას ვერ პოულობს. დღემდე შექმნილი არ არის არც ერთი პოპულარული წიგნი საქართველოს ახალმშენებლობათა შესახებ. გამომცემლობებს დაავიწყდათ, რომ ისინი მოწოდებული არიან გამოუშვან წიგნები საბჭოთა ხალხისათვის.

ამხ. გუნია ლაპარაკობს კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ დროს რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე სამართლიანად გააკრიტიკეს მთელი რიგი წიგნები, კერძოდ „ეკონომიკის ტერმინოლოგია“, „საბავშვო კალენდარი“, გ. ქიქოძის წიგნები ლიტერატურის შესახებ. სახელგამის მიერ გ. ქიქოძის წიგნის გამოშვება ამჟღავნებს უპრინციპობასა და უიდეობას, რაც დაგმობილია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით იდეოლოგიის საკითხებზე.

ხშირად წიგნები პოლიგრაფიულად დაუდევრად არის გაფორმებული. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ თავი ვერ გაართვა ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის გამოცემას. ხოლო პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა სრული უდარდელობა გამოიჩინა ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში.

ამხ. გუნია აღნიშნავს, რომ მეტწილ გამომცემლობებთან არ არსებობენ საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოები, რომლებიც მოწოდებული არიან დიდი როლი შეასრულონ საგამომცემლო მუშაობის გარდაქმნაში. იგი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმე მეტისმეტად დაქუცმაცებულია. მარტო თბილისში 14 სხვადასხვა გამომცემლობაა. ეს იწვევს იმას, რომ ისინი ცოტა წიგნებს უშვებენ, სპეციალისტთა კადრები დაქსაქსულია. გამოცემათა ფასები უზომოდ მაღალია. უმჯობესია ნაკლები წიგნები გამოვცეთ, მაგრამ დიდი ტირაჟით, ამბობს იგი, — ეს გააიაფებს წიგნს და ხელს შეუწყობს მის გავრცელებას, მასებთან მიახლოებას. საჭიროა სწორად დაიგეგმოს წიგნების გამოცემა, მიღებულ იქნას ყველა ზომა 1948 წლის სარედაქციო-საგამომცემლო გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის.

— ამ თათბირზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა და მომავალ ღია პარტიულ კრებებზე გამომცემლობათა მუშაობის საკითხების განხილვა, — ამბობს დასასრულ ამხ. გუნია, — უეჭველად დაგვეხმარება სწრაფად აღმოვფხვრათ სერიოზული ნაკლოვანებანი საქართველოს გამომცემლობათა მუშაობაში.

* * *

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. **რ. შადურმა.** მან აღნიშნა უდიდესი მნიშვნელობა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებებისა იდეოლოგიის საკითხებზე, რომლებიც მიმართულია აპოლიტიკურობისა და უიდეობის წინააღმდეგ ლიტერატურასა და ხელოვნებაში და რომლებიც მოითხოვენ ბოლშევიკურ პარტიულობას მთელ იდეოლოგიურ მუშაობაში, რაც უნდა შეესაბამებოდეს საბჭოთა ხალხის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს.

შემდეგ ამხ. შადურმა ილაპარაკა რესპუბლიკის გამომცემლობათა მუშაობის მასშტაბის ზრდაზე და აღნიშნა, რომ წიგნის პროდუქციაში ღირსეული ადგილი უჭირავს პოლიტიკურ ლიტერატურას და რომ იდეოლოგიის საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შემდეგ ამაღლდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის იდეური და მხატვრული დონე.

— მაგრამ, — განაგრძობს იგი, — საქართველოს გამომცემლობათა მუშაობაში ბევრი არსებითი ნაკლია. ამ ნაკლოვანებათაგან მთავარია გამომცემლობის ზოგიერთი მუშაკის პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობა დაკისრებული საქმისათვის, მათი არასაკმაო იდეურ-პოლიტიკური მომზადება, მუშაობაში იდეურობისა და პრინციპულობის ნაკლებობა. ამაშია იმ ნაკლოვანებათა დიდი უმრავლესობის ფესვები, რომლებიც ასე ხშირია გამომცემლობათა მუშაობის პრაქტიკაში.

ხშირია პოლიგრაფიული მასალების, და არა მარტო მასალების, არამედ ფულადი სახსრებისა და შრომის მფლანგველურად ხარჯვის ფაქტები. წარმოებას აბარებენ უხარისხო, ბეჭდვისათვის მოუმზადებელ ხელნაწერებს, მათ აწყობენ, დაშლიან, კვლავ აწყობენ, ხელახლა აკეთებენ. ეს იწვევს სხვა, უფრო გადაუდებელი ლიტერატურის გამოშვების დაყოვნებას.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ ეს მდგომარეობა წიგნის ხარისხის მხრივ. მრავალათასიანი ტირაჟებით გამოდის შეცდომების, დამახინჯების, ძრეული ციფრებისა და ფაქტების შემცველი წიგნები. ერთი სიტყვით, ზოგჯერ უშვებენ წიგნის ისეთ პროდუქციას, რომლის გამოყენებაც შეუძლებელია. ასეთებია, მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ცალკეული „ნაშრომები“. ამ „ნაშრომებში“ ბევრი რამ არის არამეცნიერული, მოუფიქრებელი, ციფრობრივი და ფაქტიური მასალის დამახინჯებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. შეიძლება ითქვას, იქ იფლანგება ტონობით ქაღალდი, მაშინ როდესაც სრულიად არ უშვებენ სახალხო მეურნეობისათვის უაღრესად საჭირო საცნობარო ან სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას.

საგამომცემლო საქმის არსებით ნაკლოვანებებს უნდა მიეკუთვნოს მასობრივი ლიტერატურის მეტად მცირე რაოდენობით გამოშვება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა სრულიად არ უშვებს წიგნებს მასობრივი მკითხველისათვის.

ჩვენში გატაცებული არიან საეჭვო მეცნიერული ღირებულების მრავალტომიანი სამედიცინო ნაშრომების გამოცემით, მაშინ როცა არ არის ჩვეულებრივი და თვითეულ ოჯახში მეტად საჭირო პოპულარული ცნობარი მედიცინის დარგში.

ავტორები ხშირად ცდილობენ ხელახლა გამოსცენ ნაწარმოებნი, რომლებიც მხატვრულ ღირებულებას არ შეიცავენ, ხოლო სახელგამი და გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ ხალისით უშვებენ ხელმეორედ უსარგებლო წიგნებს, ამავე დროს ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, რომ გამოუშვან მასობრივი მკითხველისათვის ბროშურები სამეცნიერო-პოლიტიკურ თემებზე. უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა გამოცემას.

ამხ. შადურმა გააკრიტიკა პირველადი საგამომცემლო გეგმების მომზადების მანკიერი სტილი. სასწავლებლებს, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს და შემოქმედებითს ორგანიზაციებს გეგმებში შეაქვთ ის, რაც ხელთ მოხვდებათ, ან ის, რასაც მათ შეაჩეჩებენ მოხერხებული ავტორები და მათი მფარველები. როგორც წესი, ამასთან პირველად გეგმებს წინასწარ არ იხილავენ თათბირებზე და დაინტერესებული ჯგუფების კრებებზე. დარწმუნებული ვარ, — ამბობს ამხ. შადური, — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობას საგამომცემლო გეგმების პროექტები მწერალთა საერთო კრებაზე რომ განეხილა, მაშინ ბევრი ხელახლა გამოცემული ნაწარმოები დღის სინათლეს ვერ იხილავდა.

გამომცემლობის დირექტორი აღჭურვილია დიდი ნდობითა და უფლებებით. საკმარისია მან სათანადოდ გამოიყენოს ეს უფლებები, და აღმოიფხვრება იმ ნაკლოვანებათა ცხრა მეათედი, რომლებზეც აქ ლაპარაკობდნენ. საჭიროა სასტიკად დავიცვათ ერთმმართველობის პრინციპი საგამომცემლო საქმეში.

დირექტორს არ შეუძლია, უფლება არა აქვს ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას წიგნის გამოცემის შესახებ, ვიდრე იგი სპეციალისტთა დახმარებით არ დარწმუნდება მის კეთილხარისხოვნობაში, იმაში, რომ წიგნი დამთავრებულია. ფულის მოყვარული, არაკეთილსინდისიერი ავტორი ხშირად ახერხებს თავისი უნიჭო ნაწარმოების შექების შოვნას. ეს იმიტომ ხდება, რომ რეცენზენტები ყოველთვის როდი გრძნობენ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას დაუსაბუთებელი შექებისათვის. ზოგჯერ ისინი დადებით რეცენზიას სწერენ ხელნაწერის სათანადოდ გაუცნობლად. ხოლო უპასუხისმგებლო ავტორი ამ ქაღალდს რომ ჩაიგდებს ხელში, იწყებს გამომცემლობებში სიარულს.

გამომცემლობათა დირექტორებმა თავიანთ მუშაობაში უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებით და გამოსაცემად მიიღონ, სათანადო აპრობაციის შემდეგ, მხოლოდ ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც ნამდვილად სჭირდება საბჭოთა მკითხველს.

გამომცემლობანი მოვალენი არიან სასტიკად დაიცვან საფინანსო დისციპლინა. არ შეიძლება არავითარი გადახვევა დაფინანსების დამყარებული წესიდან, არ უნდა დაიდოს არავითარი ხელშეკრულება „ქველმოქმედების“ მოსაზრებით.

ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ავტორი დაინტერესებულია ნაკლებ მომთხოვნელი რედაქტორებით, რომლებიც თავიანთ ხელმოწერას მისცემდნენ ნაწარმოების წაუკითხავადაც კი. სამწუხაროდ, ასეთი ფიქტიური რედაქტორები არსებობენ. არც თუ მატერიალური დაინტერესების გარეშე, ისინი ხალისით არიგებენ თავიანთ ხელმოწერას და რედაქტირებას ანდობენ მეორე და მესამე პირებს. ასეთი, უკაცრავად პასუხია, რედაქტორები ზოგჯერ ატყუებენ ავტორებს, მაგრამ როგორც წესი, ისინი ატყუებენ საზოგადოებრიობას, საბჭოთა მკითხველს.

პრესაში ბევრი რამ არის დამოკიდებული კორექტორებზეც. ყველაზე იდეალური ნაწარმოები, ყველაზე იდეალური რედაქტორისა და სტილისტის მიერ გასწორებული, შეიძლება დამახინჯდეს, თუ კორექტურა არ გაუკეთდა სათანადო პასუხისმგებლობით.

შემდეგ ამხ. შადური შეეხო წიგნების გაფორმებას და აღნიშნა, რომ ეს საკითხი თათბირზე გულდასმით იქნა განხილული და ამიტომ იგი მხოლოდ უსურვებს პოლიგრაფიული მრეწველობის ყველა მუშაკს განახორციელოს ის კარგი წესები, რომლებიც მათ აქ თავიანთ თავს ურჩიეს. პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველომ კი ბოლშევიკური წესრიგი უნდა დაამყაროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაობის ყველა რგოლში. წესრიგი, რომელიც უზრუნველჰყოფს კარგი ხარისხის, იდეურად სრულფასოვანი, კარგად გაფორმებული წიგნის პროდუქციის გამოშვებას.

გამომცემლობებმა, — ამბობს შემდეგ ამხ. შადური, — მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მოსახლეობაში და უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობაში მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის პოპულარიზაციას. ამას გვიკარნახებს ის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანები ტექნიკისა და მრეწველობის დარგში, რომლებიც დასახულია საქართველოს წინაშე, სადაც მეტალურგია, ელექტროფიკაცია და მექანიზაცია უფრო და უფრო მნიშვნელოვან წონას იძენს მეურნეობაში.

ჩვენ ახალ ტექნიკას უნდა ვაზიაროთ ასობით და ათასობით ახალგაზრდა. ყოველნაირი პოპულარიზაცია უნდა გავუწიოთ ტექნიკასა და ტექნიკურ ცოდნას. ამ მხრივ დიდი ამოცანებია დასახული გამომცემლობა „ტექნიკა და შრომის“ წინაშე. ამავე დროს კი არსად ისე ცუდად არ არის საქმე, როგორც ამ გამომცემლობაში. ეს გამომცემლობა, რომელიც ათეული წლებია არსებობს, უშვებს ტექნიკურად სრულიად გაუმართავ წიგნებს, ხოლო მუშაობის კულტურა აქ მეტად დაბალ დონეზეა. როგორც სჩანს, ამ გამომცემლობის მუშაკებს, რომლებიც, როგორც ირკვევა, თავიანთი დროის ცხრა მეათედს ვაჭრობის საკითხებს ანდომებენ და არა ტექნიკური ლიტერატურის გამოცემას, არ ესმით მათ წინაშე დასახული ამოცანები.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომაში“ ბოლშევიკური წესრიგი უნდა დავამყაროთ.

ამხ. შადურმა ილაპარაკა საგამომცემლო გეგმების რეალობაზე და აღნიშნა, რომ არ შეიძლება გადატვირთულად ჩავთვალოთ საქართველოს პოლიგრაფიული ბაზა, პირიქით, გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ თბილისის საწარმოთა საწარმოო შესაძლებლობა 1948 წელს განისაზღვრება 74,5 მილიონი ფურცელ-ანაბეჭდით, ხოლო გამომცემლობათა გეგმა ითვალისწინებს 68,3 მილიონს. ასეთ პირობებში სრულიად შეუწყნარებელია ჩამორჩენა ვ. ი. ლენინის თხზულებათა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემაში. ეს საკითხი სპეციალურად იქნება განხილული საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, რათა უზრუნველვყოთ საჭირო გარდატეხა.

ამხ. შადური ლაპარაკობს კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის როლზე და აღნიშნავს, რომ ჟურნალები და გაზეთები ჯერ კიდევ არ უთმობენ სათანადო ყურადღებას მუშაობის ამ უბანს. ის ფაქტი, რომ 1947-1948 წლებში საქართველოში გამოსული სხვადასხვა სახელწოდების 1.558 წიგნიდან პრესაში რეცენზირებულია მხოლოდ 90, მოწმობს, რომ კრიტიკასა და ბიბლიოგრაფიას რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე ჯერ კიდევ სათანადო ადგილი არ უჭირავს.

— გამომცემლობათა მუშაკებმა, — ამბობს დასასრულ ამხ. შადური, — ყველა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებიდან იდეოლოგიის საკითხებზე და მთელი ბოლშევიკური შეურიგებლობით იბრძოლონ საგამომცემლო საქმის, როგორც იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნის, გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

* * *

უახლოეს ხანში საქართველოს გამომცემლობებში ჩატარდება ღია პარტიული კრებები, რომლებიც მიეძღვნება მოსკოვის ცენტრალურ გამომცემლობათა მუშაკების თათბირის მასალების, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული თათბირის მასალების განხილვას.

რა გვიჩვენა მოსავლის აღების პირველმა დღეებმა

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა წელს შარშანდელზე ბევრად უკეთ მოაწყეს შრომა და თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში კარგ შედეგებსაც მიაღწიეს. ხვნა-თესვის, ნათესთა მოვლის და სხვა სამუშაოთა დარგში პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულების შედეგად ზოგიერთი კოლმეურნეობის ნაკვეთის მოსავლიანობა ჰექტარზე 200 ფუთამდე აღწევს, ამასთანავე მარცვალი უფრო მსხვილი და კონდიციურია. უხვი მოსავლის მიღების საქმეში განსაკუთრებით კარგ შედეგს მიაღწიეს სოფელ მაღაროს, ულიანოვკის, ბოდბის, ნუკრიანის, საქობოს და სხვა სოფლების მთელმა რიგმა კოლმეურნეებმა.

პურეული უკვე აღებულია 3.000-მდე ჰექტარზე, აქედან 59 ჰექტარი — ხელით, დანარჩენი კი კომბაინით. ალაზნის, წნორისა და ულიანოვკის მტს-ებმა კომბაინით მოსავლის აღების დავალება 15-18-მდე პროცენტით უკვე შეასრულეს. მარტო ალაზნის მტს-ს 6.342 ჰექტარიდან აღებული აქვს 1.043 ჰექტარი ქერი და პური. აქ ორდენოსანმა კომბაინერმა მიხეილ ლაზარიაშვილმა ხუთ დღეში 87 ჰექტარი პურეული აიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ჰექტარისა.

ზოგან კარგად მოაწყეს პურეულის ხელით აღება. სოფელ მაღაროს კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში 66 წლის დათა ჯავახიშვილი მკის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს. მკაზე ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობენ კოლმეურნეები თამარ ბაიდოშვილი და თამარ ჭრელაშვილი. მათ პურეული 2,5 ჰექტარზე აიღეს.

მაგრამ ყველგან ასე როდი მუშაობენ. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებსა და მტს-ის ბრიგადებში ჯერ კიდევ ხშირია ნაკლოვანებანი და დამახინჯება, ადგილი აქვს ჩამორჩენას. ალაზნის მტს-ის (დირექტორი პ. გელაშვილი) 32 კომბაინიდან მხოლოდ ორ მესამედს შეუძლია ღამით მუშაობა. ამასთან არც ერთ კომბაინს არა აქვს ნამჯის დამბულულებელი. 20 კომბაინს არა აქვს აგრეთვე ჩაწოლილი პურის ასაღები მოწყობილობა. მტს-ს სულ მცირე 2 მოძრავი სახელოსნო მაინც უნდა ჰქონდეს, მაგრამ ერთის მეტი არ გააჩნია. გარდა ამისა მტს-ს აკლია 3 მექანიკოსი და მთელი რიგი სათადარიგო ნაწილები: შტიფტები, ჯაჭვები, ღვედები და სხვ. მტს-ის ხელმძღვანელებს გადამჭრელი ზომები არ მიუღიათ ამ ნაწილების შეძენისათვის. თანამშრომლებისათვის არ მიუციათ წარსული თვის ხელფასიც. ზოგიერთ აგრეგატზე მოუწესრიგებელია შრომა, ყურადღება არ ექცევა მანქანების ტექნიკურ მოვლას. ამ მიზეზით კომბაინერი ტ. ბობილევი დღეში მხოლოდ 2-3 ჰექტარზე იღებს პურს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა. ასევე სუსტად მუშაობენ კომბაინერები მ. კრიკოვი, ს. პოპოვი, გ. იაკობაშვილი. ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში შ. ღვედაშვილის კომბაინს 21 ივნისს მუშაობის დაწყებისთანავე დაუზიანდა ნაწილი, მაგრამ იგი მოძრავი სახელოსნოს სუსტი მუშაობის გამო მეორე დღემდე ვერ აღადგინეს. ასევე მოუვიდა აქ 22 ივნისს ი. მირონჩენკოს კომბაინს. ქვემო მაჩხაანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 23 ივნისს ჯაჭვის დაზიანების გამო გაჩერდა გ. ჭუჭულაშვილის კომბაინი.

ცალკეული კომბაინების მუშაობა მოუწესრიგებელია ულიანოვკისა და წნორის მტს-ებშიც. მათაც 2-3 მოძრავი სახელოსნოს ნაცვლად მხოლოდ თითო სახელოსნო აქვთ. ვერ მოაგვარეს კომბაინების უავარიო მუშაობა, ყველა აგრეგატის მიერ მოსავლის უდანაკარგოდ აღება. კომბაინების დიდი უმრავლესობისათვის მოწყობილი არ არის ნამჯის დამბულულებელი. საქონლის ძვირფას საკვებს მინდვრად სტოვებენ ულიანოვკის მტს-ის კომბაინები, რომლებსაც ი. ხამუტოვი, ი. ბეგაშვილი, გ. ტარყაშვილი, ფ. ხუნაშვილი მართავენ. მეტიც — ულიანოვკის მტს-ის ფ. ხუნაშვილის კომბაინს 24 ივნისს მოწყობილი არ ჰქონდა აგრეთვე ჩაწოლილი პურის ასაღები და მოსავლის დიდი ნაწილი მოუმკელი რჩებოდა სოფელ ბოდბეს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მინდორში.

ულიანოვკის მტს-ის კომბაინერი დ. ძმანაშვილი სოფელ ბოდბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში არ იცავს მანქანის მოვლის წესებს, ნაკლებად ზრუნავს შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. იგი დღეში მხოლოდ 2-3 ჰექტარზე იღებს პურს. 24 ივნისს დ. ძმანაშვილმა საკისარის გაუსუფთაობლობის გამო მანქანა მწყობრიდან გამოიყვანა. ასევე ცუდად მუშაობს მ. კუდინოვიც. მან სოფელ ულიანოვკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 23 ივნისს ხედერი მიწას მოსდო, ქვები დეკებში ჩაჰყარა და მანქანა 3 საათს მოაცდინა.

ცუდად მუშაობენ წნორის მტს-ის კომბაინერები მ. პერეპადინი და მ. ალადაშვილი. არ ატარებენ ტექმოვლას და დღეში თვითეული მხოლოდ 3-5 ჰექტარზე იღებს პურს. მარტო 5 ჰექტარი ქერის აღებაზე ი. პერეპადინმა 25 კილოგრამი საწვავი გადახარჯა. მ. ალადაშვილმა 24 და 25 ივნისს სოფელ ვაქირის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინი მოაცდინა.

როგორც ნამჯის, ისე ჩაწოლილი პურისა და თავთავების მინდვრად დატოვებას, მოსავლის განიავებას ხელს უწყობს თვით კოლმეურნეობათა ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკიც. სოფელ ქვემო მაჩხაანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გ. შანშიაშვილმა 22 ივნისამდე ვერ უზრუნველჰყო კალოს მოწყობა, კომბაინის აგრეგატისათვის წყლის მიწოდება, ურმებისა და დამხმარე მუშახელის გამოყოფა, მინდვრად ბინის მოწყობა, აქ ნაკლებად ზრუნავენ ჩაცვენილი თავთავების ასაკრეფად. ტიბაანის კოლმეურნეობა „ხირსის გლეხთა შრომამ" ერთი დღე მოაცდინა კომბაინი ურმებისა და დამხარე ხალხის გამოყოფის გაჭიანურების მიზეზით.

კალოები სათანადოდ არ მოუწყვიათ სოფელ ქვემო მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში", სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში, თუმცა მათ პურეულის აღება კარგა ხანია დაიწყეს.

მინდვრად ნამჯისა და პურის თავთავების შეგროვების საქმეში დანაშაულებრივ უყურადღებობას იჩენს სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი და პარტორგანიზაციის მდივანი შ. წიქარაშვილი, ქვემო მაჩხაანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. შანშიაშვილი და სხვ.

დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ არის პურის ხელით აღებაშიც. მიუხედავად მასობრივი შემოსვლისა, რაიონის 38 კოლმეურნეობაში 25 ივნისს პურის ხელით აღება დაწყებულიც არ იყო. მარტო სოფელ ულიანოვკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ერთდროულად ასეული მუშახელის გამოყვანა შეიძლება და 884 ჰექტარია ასაღები, კომბაინით 121 ჰექტარი აიღეს, ხელით კი არც ერთი. ასეთივე მდგომარეობაა ბოდბის კალინინის, ნუკრიანის პარიზის კომუნის, ჯუგაანის ჩარკვიანის სახელობის და მრავალ სხვა კოლმეურნეობაში.

რაიონში პურეულის ნათესი ფართობის დაახლოებით 13 პროცენტზე ანუ 2.700 ჰექტარზე მოსავალი სათესლედ უნდა იქნას აღებული. ცნობილია, რომ მზეზე მარცვლის გახმობა იწვევს 3-7 პროცენტამდე გაღივების უნარის დაკარგვას. ამიტომ მარცვალი ჩრდილში უნდა იქნას გაშრობილი. მიუხედავად ამისა, ბევრგან მოსავლის დასაცავად არათუ ფარდული, ბრეზენტიც არ გააჩნიათ. აქ არ გამოიყენეს სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე თ. ტარყაშვილი) კარგი მუშაობის მაგალითი, სადაც წელს მინდვრად კრამიტით გადახურული ქვიტკირის ისეთი კაპიტალური ფარდული მოაწყეს, რომელიც ერთდროულად 300-ზე მეტ კაცს და ათეულ ტონა ხორბალს დაიტევს.

როგორც წესი, მოსავლის ლეწვა უნდა იწყებოდეს არაუგვიანეს 5 დღისა მკის დაწყებიდან. მიუხედავად ამისა, რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ ეს სამუშაო თითქმის დაწყებულიც არ არის. რაიონის პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ცალკეულ კოლმეურნეობებსა და მტს-ების ბრიგადებში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

ორჯონიკიძის ქარხნის (თბილისი) მექანიკური საამქროს მოწინავე სტახანოველი მღარავი ლევან გოქაძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას სისტემატურად ასრულებს 400-600 პროცენტით.

ფოტო რ. აკოფოვისა

წულუკიძის ძაფსალებ ფაბრიკას ოცი წელი შეუსრულდა

ოცი წლის წინათ, 1928 წლის ივნისში ამუშავდა საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს წულუკიძის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკა. მარტო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ფაბრიკამ ჩვენი სამშობლოს აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკებს მიაწოდა 522 ტონა მაღალხარისხოვანი გრეჟა. აბრეშუმის ძაფსალებ ფაბრიკებს შორის 1935 წელს აქ პირველად ჩაისახა მრავალდაზგოსნობა. პირველი მრავალდაზგოსნები იყვნენ ძაფის ამომხვევი ფეიქრები გელენიძე და ფარცვანია. ამ ფაბრიკაში პირველად აითვისეს აგრეთვე მეტად რთული „ხანდას" სისტემის დაზგა.

ფაბრიკის მუშაობის ოცი წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის მინისტრის ამხ. ი. სედინის ბრძანებით „საფეიქრო მრეწველობაში სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულის" ნიშნით დაჯილდოებული არიან ძაფის ამომხვევნი ნ. ბახტაძე, ნ. ბენდელიანი, ხ. გვილავა, პ. გეგუჩაძე, ს. ჯანგავაძე, ე. ელიავა, ე. ზარქუა, ტ. კუპრაძე, კ. ტაბიძე ე. ტაბიძე და ლ. ჩარგეიშვილი, დამხმარე მუშა ო. კეკერაძე, პარკის მხარშავები ს. ქუთათელაძე და მ. სანოძე, ინსტრუქტორი ე. მესხი, მექანიკური სახელოსნოს უფროსი ა. რუხაძე, დამხარისხებელი საამქროს უფროსი მ. ჭელიძე, ცვლის ოსტატი ნ. ჭელიძე და ფაბრიკის მუშათა სასადილოს გამგე მ. სანოძე.

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის მინისტრის ბრძანებით წულუკიძის ძაფსალებ ფაბრიკის მუშაკებს მიეცათ ფულადი ჯილდოები.

დავიცვათ ვანო სარაჯიშვილის ვოკალური მემკვიდრეობა

ქართული ვოკალური კულტურის აყვავებაში ვანო სარაჯიშვილმა ისტორიული როლი შეასრულა. უბადლო ბუნებრივი ნიჭითა და გასაოცარი სილამაზის ხმით დაჯილდოებულმა ვანომ ეროვნული საოპერო შემსრულებლობის განსხვავებული სტილი შექმნა და ქართველი ხალხის ღრმა სიყვარული დაიმსახურა. დიდი ვოკალური კულტურის მქონე ვანო უძლიერეს ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენდა ადამიანზე. მისი მომაჯადოებელი სიმღერა ჰხიბლავდა მსმენელს.

ვანო სარაჯიშვილი ქართული რომანსის ჯადოქარი ოსტატი იყო: იგი ყოველ მუსიკალურ ფრაზას მომხიბლავი ნიუანსით ამკობდა, მჩქეფარე ტემპერამენტით ათბობდა და თავისი პოეტური გულთათქმით ბრწყინვალე სრულყოფამდე აჰყავდა. ყოველ რომანსზე ვანო სარაჯიშვილი მუშაობდა შესანიშნავ მოქანდაკესავით, რომელიც უდიდესი სიფრთხილით აჩუქურთმებს მარმარილოს, სულს უდგამს და აცოცხლებს თვისი ქმნილების ყოველ დეტალს.

მომღერლის ერთადერთ კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს მისი ვოკალური ჩანაწერები. ამ ჩანაწერებით ხალხი აცოცხლებს თავის გონებაში საყვარელ ხელოვანს, მორალური და ესთეტიკური კმაყოფილებით იმსჭვალება. ამავე ჩანაწერებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მომღერალთა ახალი თაობის აღზრდის საქმეშიც. ამიტომაცაა, რომ დიდებულ ოსტატთა გრამჩანაწერებს სისტემატურად აახლებენ. ვანო სარაჯიშვილის მიმართ ჩვენ ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდი ვალი გვაქვს მოუხდელი. არც ერთი მისი ფირფიტა ხელახლა გამოცემული არ არის.

ვანო სარაჯიშვილის შესრულებით ჩვენ ამჟამად შემდეგი გრამჩანაწერები მოგვეპოვება: „ურმული" (ხალხური, უაკომპანემენტოდ), „ოდესაც გიცქერ", „ისევ შენ და ისევ შენ", „მზე აღარ ბრწყინავს", „მხოლოდ შენ ერთს", „ჩემი ვარსკვლავი", „დავრდომილი, სნეული" და „გენაცვალე". ეს ადრინდელი ჩანაწერები ახლა საკმაოდ დაზიანებულია. ისინი მხოლოდ დაახლოებითს წარმოდგენას იძლევიან ვანოს ხმაზე, განსაკუთრებით კი მის მომხიბლელ ტემბრზე. ამ ჩანაწერებს (გარდა „ურმულისა") ხშირად გადასცემს საქართველოს რადიოკომიტეტი, რასაც მუდამ დაძაბული ყურადღებით ისმენს ქართველი ხალხი. ეს ფირფიტები გამოცემულ იქნა 1912 წელს, როდესაც ხმის ჩაწერის ტექნიკა შედარებით დაბალ დონეზე იდგა.

1915 წელს საზოგადოება „გრამოფონის" თხოვნით, ამ საზოგადოების აგენტის ი. ა. ტაბლიაშვილის მეშვეობით ვანო სარაჯიშვილმა თბილისში ბევრი ფირფიტა დაამღერა. მაშინდელი წყაროების მიხედვით ვანოს შესრულებით ჩაწერილ იქნა: ერეკლეს არია (ოპერა «ლალატიდან"), „ახ, მთვარევ, მთვარევ", „ურმული" (მეორედ), „ბუნდოვან გულსა", „ო, მარი", „მშვენიერთა ხელმწიფავ", „გენაცვალე" (მეორედ) და მრავალი სხვა ნაწარმოები. ეს „სხვა" აქამდე უცნობი იყო. ჩანაწერები უცხოეთში უნდა გაეგზავნათ გასამრავლებლად, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დროს ისინი სადღაც გაჰქრა. სხვათა შორის, დაკარგული ჩანაწერები შემდეგ ბევრი ეძება ვანოს დიდმა პატივისმცემელმა განთქმულმა ტენორმა კოზლოვსკიმ, მაგრამ ვერსად ვერ აღმოაჩინა.

გავიდა ხანი. 1943 წელმა მეტად ამაღელვებელი სიურპრიზი მოგვიტანა: ლენინგრადის ბლოკადის გარღვევასთან დაკავშირებით ლონდონიდან გადმოცემულ იქნა რუსული მუსიკისადმი მიძღვნილი კონცერტი გმირი ქალაქის მცხოვრებთათვის. ჩაიკოვსკის სიმფონიურ ნაწარმოებთა გადმოცემის შემდეგ გამოაცხადეს — განვაგრძობთ კონცერტს დიდი რუსი მომღერლების შესრულებითო. პირველად შესრულებულ იქნა შალიაპინის ფირფიტები, შემდეგ გაისმა: „ჯონ სარაჯევ" (ივანე, ვანო სარაჯიშვილი). ვანოს შესრულებით გადმოცემულ იქნა: დონ-ხოზეს, ნადირის, ალფრედის, ჰერცოგის და კავარადოსის არიები (ოპერები: „კარმენი", „მარგალიტის მაძიებელნი", „ტრავიატა", „რიგოლეტო", „ტოსკა"), შემდეგ კი [illegible] ლ. სობინოვის მიერ დამღერებული ფირფიტები.

ყველა ნაწარმოები ვანო სარაჯიშვილის შესრულებით ჩაწერილია იტალიურ ენაზე, შესანიშნავად ჟღერს და დიდი ქართველი მომღერლის დამახასიათებელი მომხიბლაობითა და ვირტუოზული ტექნიკით ხასიათდება. უეჭველია, ისინი ჩაწერილია თბილისში 1915 წელს, სადღაც უცხოეთში შენახულა, შემდეგ კი გაუმრავლებიათ და ხელში ჩავარდნია ლონდონის რადიოკომპანიას, რომელიც უკვდავ რუს მომღერალთა ოქროს ფონდში ინახავს მათ. ახლა სავსებით ნათელი ხდება ის გარემოება, რომ ჩვენს პრესაში აღნიშნულ ნაწარმოებთა გარდა კიდევ ბევრი რამ დაუმღერებია ვანო სარაჯიშვილს.

საქართველოს რადიოკომიტეტის ჩანაწერები, მართალია, ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ მოსახლეობაში მოიპოვება შედარებით უკეთ დაცული ეგზემპლარები, საიდანაც შეიძლება ხელახლა გადაწერა და გამრავლება. გარდა ამისა, მოსკოვის ცენტრარქივთან არსებულ ფოტო-ფონო-კინოარქივში დაცულია გრამოფონის ფირფიტების მატრიცები, რომელნიც ძველად სააქციო საზოგადოება „გრამოფონის" მიერ იყო დამზადებული. მათ შორის მოიპოვება ვანო სარაჯიშვილის შესრულებით ოთხი ჩანაწერი და აგრეთვე ვასო აბაშიძის „სცენები". ამ მატრიცებიდან შეიძლება ფირფიტების დამზადება.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ უცხოეთიდან ვანოს დამღერებული ფირფიტების მისაღებად უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯი უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ხაზით. საჭიროა აგრეთვე შეკითხვები გაიგზავნოს უცხოეთის სხვა ქვეყნებშიც. იქნებ ვანოს ჩანაწერებიდან ქარხანამ გაამრავლა მარტო საყოველთაოდ ცნობილი სამუსიკო ნაწარმოებნი (არიები ოპერებიდან), ქართული მუსიკის მატრიცები კი ხელუხლებელია. ამისათვის საჭიროა გამოშვებული ფირფიტების მარკის მიხედვით გავიგოთ ქარხნის სადაურობა და შეკითხვა გავგზავნოთ მის არქივში. ამრიგად, ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს აღვადგინოთ 1915 წელს თბილისში შესრულებული ყველა გრამჩანაწერი.

უნდა მოვაგროვოთ მოსახლეობაში ვანოს ყველა ფირფიტა, შევარჩიოთ მათ შორის საუკეთესო და გავამრავლოთ. ასევე უნდა გამოვიყენოთ მოსკოვში დაცული მატრიცები. დაზიანებული ჩანაწერების მიმართ უნდა ჩატარდეს აღდგენითი ღონისძიებანი. ამრიგად, ჩვენ მივიღებთ ვანო სარაჯიშვილის სრულ ჩანაწერებს (15-20 ნომერს); ეს კი უდიდესი შენაძენი იქნება ჩვენი ეროვნული კულტურისათვის. ამავე დროს საჭიროა ვიზრუნოთ ვანოს ძეგლზეც, რომლის კონკურსი დიდი მომღერლის გარდაცვალებისთანავე გამოცხადდა და პროექტებიც იქნა წარმოდგენილი, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

დასასრულ, საჭიროა კიდევ ერთი ღონისძიების განხორციელება ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად: უნდა დაიდგას ვანოს ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მუსიკალურ-მხატვრული ფილმი. მართალია, ამ მხრივ წავაწყდებით დიდ დაბრკოლებას: ქართულ ოპერებიდან არ დაგვრჩენია ვანოს შესრულებით ჩაწერილი არც ერთი ფრაზა. მაგრამ თუ ენერგიულ ზომებს მივიღებთ, — აღვადგენთ და გავამრავლებთ ვანოს ვოკალურ მემკვიდრეობას, იმ მდიდარი მასალის მეოხებით, რაც ჩვენს განკარგულებაში იქნება, მაინც მოვახერხებთ მნიშვნელოვანი მხატვრული ფილმის შექმნას.

ყოველი შემდეგი დაყოვნება ამ მხრივ შეუწყნარებელია. ვანო სარაჯიშვილის ფირფიტები, ძეგლი და ფილმი ჩვენი სადღეისო საპატიო ამოცანაა, ჩვენი ეროვნული კულტურის პატივისა და ღირსების საკითხია.

შალვა კაშმაძე

ახალი სოფელი

მანქანებმა საშენი მასალა მოიტანეს — რელსები, ხე-ტყე, აგური, კრამიტი...

ხარაჩოებს მოუხაზავთ უზარმაზარი შენობის ქონგურები. კალატოზები აგურს აგურზე აწყობენ. თანდათან მაღლდება შენობის კედლები.

სკოლას, კლუბს, სასპორტო დარბაზს, სამკითხველოს, საავადმყოფოს აშენებს ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა.

ვისაც ადრე უნახავს ახალი სოფელი, ახლა ვერ იცნობს მას. სად არის ეკალ-ბარდები და ბილიკები, ისლით დახურული ჯარგვალები... გზებით დასერილია სოფელი, ჩაისა და ციტრუსების თვალუწვდენი პლანტაციები ამშვენებენ ფერდობებსა და ველ-მინდვრებს. მარადმწვანე ხეთა ლაშქარი დგას სოფლის ყოველ უბანში. კოპწია ოდები ჩამწკრივებულან გზების გაყოლებით. ბაღნარები ამშვენებენ კოლმეურნეთა კარმიდამოს.

სოფლის ცენტრში გაჩაღებულია მშენებლობა. დამთავრდა კოლმეურნეობის გამგეობისათვის ორსართულიანი შენობის აგება. ჩვიდმეტი ოთახი აქვს ამ სახლს. გარდა კოლმეურნეობის გამგეობისა, აქ მოთავსდება სოფლის მაღაზია, საექიმო პუნქტი და ქოხლაბორატორია.

ცოტა ქვემოთ სამი დიდი შენობა დგას. ორი მათგანი განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწყობად, მესამე—ჯიშიანი ცხენების თავლად.

და... განა მარტო ესა აქვთ ახალსოფლელებს? ოთხი დიდი საწყობი სიმინდისათვის, ხუთი თავლა, მარანი, გარაჟი ავტომანქანებისათვის და მრავალი სხვა დამხმარე შენობა.

არც ამას სჯერდებიან მილიონერი კოლმეურნეობის წევრები. უზარმაზარ შენობას აგებენ საშუალო სკოლისათვის. ოცდათოთხმეტი ოთახი ექნება ამ სკოლას, დიდი სასპორტო დარბაზი და კლუბი. მალე გაიყვანენ წყალსადენს. იგი მოემსახურება სოფლის ცენტრს და მოსახლეობას. დაპროექტებულია აბანოს მშენებლობა, აგრეთვე მარნისა, რომელიც ორას ტონა ღვინოს დაიტევს... კოლმეურნეთა ოჯახებში, სოფლის მთავარ ქუჩაზე ილიჩის ნათურები კაშკაშებენ.

იზრდება, მშვენდება ახალი სოფელი, ყოველწლიურად ძლიერდება კოლმეურნეობა, შეძლებული ხდებიან კოლმეურნეები. მათს სიმდიდრეს შეადგენს ორმოცდათორმეტი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ორმოცდახუთ ჰექტარზე გაშენებული ციტრუსები, სამოცი ჰექტარი ტუნგო, ცხრამეტი ჰექტარი ვენახი—ცოლიკოური და ოჯალეში, ას ათი ჰექტარი სიმინდის ყანა, სამოცი სკა ფუტკარი, სანერგე მეურნეობა, ხეხილის ბაღი, საქონლის ფერმა...

ორას ორმოცდათორმეტი კომლი თავს დასტრიალებს ამ სიმდიდრეს, ორას სამოცდაათი შრომისუნარიანი კოლმეურნე მუშაობს ბრიგადებსა და რგოლებში.

* * *

ახლადგაყვანილი გზა სოფლის ცენტრიდან მარჯვნივ უხვევს, სახერხ ქარხანას ჩაუვლის, აღმართს აჰყვება და ჩაის გადაშლილი პლანტაციებისაკენ მიიკლაკნება.

გზის მარჯვნივ მწვანე ხალიჩაა აფენილი. დიახ, ნამდვილი ხალიჩა, ნიჭიერი ოსტატის ხელნაქნავი, მარადმწვანე, თვალსა და გულს რომ ახარებს. არც ერთი ბუჩქი არ აკლია მას, ყველა ერთმანეთზე ულამაზესია — ჩამრგვალებული, ცოცხალი, იმედით აღსავსე...

კარგად არის მოვლილი ჩაის პლანტაცია...

მერგოლურის, სოციალისტური შრომის გმირის დ. ქადარიას ნაკვეთზე ყოველი ჰექტარი ათიათას ას კილოგრამ პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლს იძლევა.

მაისის დაწყებიდან სექტემბრამდე ჰკრეფენ მწვანე ფოთოლს ხელგამრჯე კოლმეურნეები. ჰკრეფენ და... კვლავ საკრეფია... ნამდაპკურებულ სათუთ ტოტებზე მზის სხივები რომ დაეფრქვევიან, ახალი ნორჩი ყლორტებიც ამოყოფენ თავს და იწყებენ განვითარებას. კვლავ თავიდან იწყება მწვანე ფოთლის კრეფა. კოლმეურნის გამოცდილმა ხელმა იცის როდის არის საჭირო მუშაობის გაჩაღება, რამდენჯერ უნდა მოიკრიფოს ჩაის მწვანე ფოთოლი.

ამ ხელმა დაავო ეს თვალწარმტაცი ხალიჩა ამ ფერდობზე, რომელზეც ათიოდე წლის წინათ მხოლოდ გვიმრა და ეკალ-ბარდები მეფობდნენ.

მარტო ნოყიერი მიწა, მზე და ჰაერი როდი ჰყოფნის ჩაის პლანტაციას. ბავშვივით მოვლა უნდა მას. ჩაის ბუჩქი ყოველ დღე მოითხოვს ადამიანის ხელს.

დაბარვა, გათოხნა, ბუჩქების ფორმირება, ნაკვეთში ხელოვნური და ბუნებრივი საკვების შეტანა, შეწამვლა, მიწის გაფხვიერება და ბოლოს მოსავლის აღება—ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა.

— აი, რამდენად მრავალფეროვანია ჩაის პლანტაციებში მუშაობა.

განსაკუთრებით პასუხსაგებია ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. ამ პერიოდში ყველაზე მთავარია დროის ფაქტორი, სისწრაფე.

— ერთი დღე, ან თუ გნებავთ რამდენიმე საათიც საკმარისია, რომ ნაზი ყლორტები გაუხეშდეს და ფოთლის ხარისხი დაეცეს. ამიტომ ვცდილობთ, რაც შეიძლება სწრაფად ვკრიფოთ. რგოლის თვითეულ წევრს მიჩენილი აქვს გარკვეული მწკრივები. კოლმეურნეები პასუხისმგებელნი არიან არა მარტო მოკრიფონ მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, არამედ ბუჩქების მოვლა-დამუშავების დარგში ჩაატარონ ყველა აგროტექნიკური ღონისძიებანი. ცხადია, ამ უკანასკნელზე არის დამოკიდებული ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღება, — გვესაუბრება მოწინავე მერგოლური სოციალისტური შრომის გმირი დ. ქადარია.

შარშან ამ რგოლმა, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა რომ დაამთავრა, მაშინვე შეუდგა ახალი მოსავლისათვის მზადებას, მოიმარაგა ყველაფერი, რაც საჭირო იყო საშემოდგომო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის.

დადგა დეკემბერი. დაიწყეს ჩაის ფართობის გადაბარვა. ბარვის სიღრმე იყო ოცი სანტიმეტრი. ამ პერიოდში თვითეულ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში შეიტანეს 750 კილოგრამი ფოსფოროვანი სასუქი, 375 კილოგრამი კალიუმის მარილი და ასი ტონა ტორფი.

არც ამით დაკმაყოფილდნენ. გაზაფხულზე 25 ტონაზე მეტი ორგანული სასუქი შეიტანეს ყოველ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში და ჩათოხნეს. აპრილში კვლავ ახალი საკვები მისცეს მცენარეს. თვითეულ ჰექტარ ფართობში შეიტანეს 900 კილოგრამი აზოტოვანი სასუქი. ეს ღონისძიება ივნისშიც გაიმეორეს.

ჩაის ბუჩქებს განსაკუთრებით უყვართ ფხვიერი მიწა, ამიტომ შვიდჯერ გათოხნეს პლანტაცია და მიაღწიეს იმას, რომ მთელი წლის განმავლობაში ნიადაგი ფხვიერი იყო.

ასე მუშაობენ სხვა რგოლები და ბრიგადებიც. შარშან ამ კოლმეურნეობას 52 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უნდა მიეღო 3.080 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი.

პატარა როდია ეს ციფრი. წარმოიდგინეთ, რამდენი სათუთი ყლორტი დასჭირდებოდა მას. მაგრამ... ახალსოფლელებმა ეს რიცხვი როდი იკმარეს. 5.980 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღეს ყოველ ჰექტარზე. სამას ათი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარეს სახელმწიფოს.

ამჟამად არც ეს რიცხვი აკმაყოფილებთ. გადაწყვეტილი აქვთ ჰექტარზე მიიღონ შვიდი ათასი კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი.

7.000 კილოგრამი ჰექტარზე—ეს ნამდვილი სარეკორდო მოსავალია. განსაკუთრებით იმიტომ, რომ მისი მიღება გათვალისწინებულია არა მარტო მაღალმოსავლიან ნაკვეთზე, არამედ ყველგან, კოლმეურნეობის ყველა პლანტაციაში.

ეს ნიშნავს:

კოლმეურნეობამ მოჰკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 410 ათასი კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი.

— ჩვენ ამისი სრული იმედი გვაქვს. ჩატარებული აგროტექნიკური ღონისძიებანი და ამის შედეგად ჩაის ბუჩქების ნაყოფიერების გადიდება ვალდებულების განაღდების თავდებია. არაფერი დაგვიკლია ჩაის ბუჩქებისათვის. და ისინიც უხვ მოსავალს იძლევიან.—მტკიცედ ამბობს ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა. მას სრული იმედი აქვს, რომ წელსაც გაიმარჯვებენ.

410 ტონა პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი...

სიტყვა სიტყვაა... მას ყოველთვის საქმით ანაღდებენ ახალსოფლელები. დიდი ქართველის—ლავრენტი ბერიას სახელს ატარებს მათი კოლმეურნეობა. ეს მათი წარმატების დროშაა. დაე, მუდამ მაღლა იფრიალოს ამ დროშამ ნიშნად სახელოვანი გამარჯვებისა.

ბ. თათარიშვილი.

ახალი სოფელი.

გორელ კოლმეურნეთა მიმართვის პასუხად

ვაშენებთ კლუბს

სოფელ თეკლათში (ცხაკაიას რაიონი) არის რვაწლიანი სკოლა, დაწყებითი სკოლა, სოფლის მაღაზია, მაგრამ არ იყო კლუბი. ეს დიდად უშლიდა ხელს სოფელში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაჩაღებას, სოფლის სამკითხველო ღარიბი იყო წიგნებით.

ჩვენ ეს გავითვალისწინეთ და 1946 წლიდან კლუბის მშენებლობა გავაჩაღეთ. გორელ კოლმეურნეთა მიმართვის შემდეგ მუშაობა უფრო დავაჩქარეთ. კლუბი 5 ივლისს გაიხსნება. გავიღეთ სათანადო სახსრები კლუბის მოსაწყობად, სამკითხველოსათვის შევიძინეთ 2.000 მანეთის წიგნები, სურათები, პლაკატები.

სოფელ თეკლათის კოლმეურნეები — სოციალისტური შრომის გმირი **პ. გვარამია**, ლენინის ორდენოსანი **ხ. გრიგოლია**, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი **ი. ფოჩხუა**.

კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით

გორელ კოლმეურნეთა ინიციატივას — ყველა კოლმეურნეობამ ააშენოს კლუბი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სხვა ნაგებობანი, ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ასპინძის რაიონის სოფელ ჰობარეთის დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.

კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს შეუდგნენ კლუბის აშენებას. მშენებლობა უკვე დაიწყო. მიმდინარე წლის 7 ნოემბერს მოხდება მისი საზეიმო გახსნა. კლუბს, რომელიც დაიტევს 200 კაცს, ექნება ბიბლიოთეკა და ლამაზი ფოიე, აგრეთვე ოთახი კინოდანადგარისათვის.

მშენებლობისათვის საჭირო მასალები მოზიდულია. ყველა ძირითად სამუშაოს კოლმეურნეობის წევრები ასრულებენ.

კლუბის მშენებლობასთან ერთად, კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს შეიძინონ კლუბისათვის საჭირო ინვენტარი და ლიტერატურა ბიბლიოთეკისათვის.

ამ მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

გ. ჯვარიძე

კოლმეურნეობის თავმჯდომარე

უცხოეთის პრესის გამოხმაურება რვა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ვარშავის თათბირის გადაწყვეტილებაზე

საფრანგეთი

პარიზი, 26 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის დემოკრატიული პრესა ადასტურებს, რომ ვარშავის გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სურვილის ახალ დამამტკიცებელ საბუთს— გერმანიის პრობლემა გადაიჭრას მშვიდობისა და დემოკრატიის სასარგებლოდ.

„იმ დროს, როცა ამერიკული პრესა ლაპარაკობს ბერლინზე და გვიხატავს ტანკების შავბედით გუგუნსა და სენსაციურ საჰაერო მავთულლობურებს, — სწერს „ლუმანიტეში“ პიერ კურტადი, — სახალხო დემოკრატიებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ვარშავაში ხანგრძლივი მშვიდობის პირობები შეიმუშავეს. სმიტსა და მოლოტოვს შორის ნოტების გაცვლის შემდეგ, უოლესისადმი სტალინის წერილის შემდეგ ვარშავის განცხადება ომის გამჩაღებლებს პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს. ხალხები აფასებენ ამას“.

„ფრან-ტირერი“, „ლიბერასიონი“ და „კომბა“ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭირო და შესაძლებელია ოთხმხრივი მოლაპარაკების დაწყება.

ოფიციოზი „მონდი“ (ისე როგორც „პოპიულერი“, „ობი“ და მთელი რიგი სხვა გაზეთები) ვარშავის გადაწყვეტილებებს აფასებენ, როგორც იმ „გადაწყვეტილებათა პროლოგს, რომლებიც უფრო გვიან იქნება მიღებული“.

ინგლისი

ლონდონი, 26 ივნისი. (საკდესი). მიუხედავად იმისა, რომ ცნობამ რვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ვარშავის თათბირის შესახებ ლონდონში დიდი ინტერესი გამოიწვია, ინგლისური პრესა დუმილით უპასუხებს თათბირის გადაწყვეტილებას. ლონდონისა და პროვინციების მთავარი გაზეთები დღეს თითქმის სრულიად უგულებელჰყოფენ ამ თემას და იქმნება შთაბეჭდილება, რომ პრესამ ამ საკითხზე სათანადო ინსტრუქციები მიიღო.

ბერლინი

ბერლინი, 26 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ ვარშავის თათბირის გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილ სტატიაში სწერს:

„თუ, მიუხედავად დასავლეთი სახელმწიფოების ცალმხრივი მოქმედებისა და მათ მიერ ხელშეკრულებათა ყველა დარღვევისა, ვარშავაში კვლავ აღიძრა საკითხი ოთხმხრივ შეთანხმებაზე, ეს ცხადჰყოფს საბჭოთა კავშირისა და მისი მეზობლების მორალურ ძალასა და პასუხისმგებლობის შეგნებას მთელ მსოფლიოში მშვიდობიანი განვითარების ნების წინაშე... ეს გერმანელ ხალხსაც ანიჭებს ახალ ძალებს და საუკეთესო მომავლის ახალ იმედს“.

გაზეთი ათავსებს აგრეთვე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის ოტო გროტევოლის განცხადებას, რაც მან გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ კორესპონდენტს გაუკეთა.

განცხადებაში ნათქვამია: „ვისაც ამჟამად შესაძლებლობა აქვს კარგად გაერკვიოს ყოველივე იმაში, რაც ხდება, იგი დიდი კმაყოფილებით უნდა შეხვდეს საგარეო საქმეთა მინისტრების ვარშავის თათბირის შედეგებს. თავისი სამშობლოს ერთიანობით დაინტერესებულმა ყოველმა გერმანელმა უნდა მოიწონოს თათბირის გადაწყვეტილება გერმანიის გაყოფის თაობაზე ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ. დასავლეთი სახელმწიფოების გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია ლონდონში და მიზნად ისახავენ გერმანიის გათიშვასა და დასავლეთი ვალუტის შემოღებას, პირდაპირ ეწინააღმდეგებიან იალტისა და პოტსდამის შეთანხმებებს. მხოლოდ იალტისა და პოტსდამის იმ შეთანხმებათა ბაზაზე, რომლებიც მიღებულია ყველა მოკავშირის მიერ, შეიძლება გადაიჭრას გერმანიის საკითხი. ამ საკითხის ყოველგვარი სხვა გადაჭრა გერმანიის გათიშვას გამოიწვევს.

ამიტომ ჩვენ მივესალმებით საგარეო საქმეთა მინისტრების ვარშავის თათბირს, რომელზეც იალტისა და პოტსდამის შეთანხმებანი დახასიათებულია როგორც გერმანიის მიმართ პოლიტიკის საფუძველი. გერმანელი ხალხი ისევე ძლიერ არის დაინტერესებული მზადყოფნით — დადებულ იქნას საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და საოკუპაციო ჯარები გაყვანილ იქნან ერთი წლის განმავლობაში საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, როგორც მთელი გერმანიის დროებითი დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე მთავრობის შექმნით. ცდა — დასავლეთ გერმანიაში შემოღებულ იქნას საოკუპაციო სტატუტი, ეწინააღმდეგება მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებს. ხამწუხაროდ უნდა ვშიშობდეთ, რომ ლონდონში დასავლეთ სახელმწიფოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგად მოსპობილია ყოველგვარი შესაძლებლობა ურთიერთგაგების მისაღწევად. გერმანელი ხალხი მალე მიხვდება, თუ რომელი სახელმწიფოები არიან მზად ანგარიში გაუწიონ გერმანელი ხალხის საარსებო ინტერესებს და მისცენ მას მომავალში განვითარების შესაძლებლობა. ჩვენ დავინახავთ, მზად არიან თუ არა დასავლეთი სახელმწიფოები საბჭოთა კავშირთან ერთად დადონ საზავო ხელშეკრულება თუ მათ გადასწყვიტეს განაგრძონ გერმანიის კოლონიზაციისა და გათიშვის პოლიტიკა. მაშინ გერმანელი ხალხი შესძლებს დარწმუნდეს, სად არიან მისი ნამდვილი მეგობრები“.

გროტევოლის განცხადება და საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადების სრული ტექსტი მოათავსა აგრეთვე გაზეთმა „ბერლინერ ცაიტუნგმა“.

საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებას მიესალმება ბერლინის საბჭოთა სექტორის ყველა გაზეთი, რომლებიც განცხადების ტექსტთან ერთად თავის კომენტარებსაც აქვეყნებენ.

ბერლინის დასავლეთი სექტორების გაზეთები ათავსებენ მხოლოდ განცხადების მოკლე შინაარსს და ამავე დროს აქვეყნებენ ლონდონიდან მიღებულ გამოხმაურებას.

პოლონეთი

ვარშავა, 26 ივნისი. (საკდესი). ვარშავის თათბირის შედეგებისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიებში პოლონური გაზეთები ერთსულოვნად აღნიშნავენ მის ისტორიულ მნიშვნელობას მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში.

ვარშავის თათბირს, — სწერს გაზეთი „გლოს ლუდუ“, — არ გაუცრუებია მასზე დამყარებული იმედი. მან დასახა ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ერთადერთი შესაძლებელი გზა. „გერმანიის აგრესიისაგან ყველაზე უფრო დაზარალებულმა რვა სახელმწიფომ გადაჭრით უარჰყო ცალმხრივი გადაჭრის ყოველგვარი ცდა, როგორიც იყო ლონდონის თათბირის გადაწყვეტილება, რაც მიმართულია გერმანიის მხრივ აგრესიის საფრთხის არა ლიკვიდაციისა, არამედ გაძლიერებისაკენ. ამ სახელმწიფოებმა გადაჭრით დაჰგმეს ლონისძიებანი, რომლებიც მიმართულია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისაკენ დასავლეთ გერმანიაში განკერძოებული სახელმწიფოს შექმნით, რომელიც სინამდვილეში იქნება ანგლო-საქს იმპერიალისტთა კოლონია და ბაზა“.

გაზეთი „რობოტნიკი“ აღნიშნავს რვა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების გამოქვეყნებული განცხადების უდიდეს მნიშვნელობას გერმანიის პრობლემის გადასაჭრელად. თუ იგი განხორციელდა, — სწერს გაზეთი, — მაშინ ევროპა, ხოლო მასთან ერთად მთელი მსოფლიო ხანგრძლივ მშვიდობასა და კეთილდღეობას მოიპოვებენ. თუ არა, მაშინ კაცობრიობას ელოდინება, ვინ წინააღუდგა სამართლიანი და გონივრული ომისშემდგომი წესრიგის დამყარებას.

ვარშავის თათბირი, — განაგრძობს გაზეთი, — დასავლეთ სახელმწიფოთა მოქმედების ნათელი პასუხი იყო. ეს არის კიდევ ერთი მოწოდება — დაუბრუნდნენ იალტისა და პოტსდამის გზას, ოთხი სახელმწიფოს თანამშრომლობის გზას, იმ გზას, რომელმაც უზრუნველჰყო სამხედრო გამარჯვება და რომელსაც შეუძლია უზრუნველჰყოს მშვიდობის გამარჯვება. ევროპის ხალხებს ერთხელ კიდევ უჩვენებს საშუალებანი თავისი მომავლის უზრუნველსაყოფად, ხოლო გერმანელ ხალხს უჩვენებს ახალ საფუძვლებზე ახალი ცხოვრების აღორძინების გზები. „ვარშავის განცხადება საყოველთაო მშვიდობის პროგრამაა. ევროპისა და მთელი მსოფლიოს ყველა სახალხო დემოკრატიული და პროგრესიული ძალები ამიერიდან მას დაეყრდნობიან მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 26 ივნისი. (საკდესი). უნგრული პრესა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ვარშავის თათბირს.

გაზეთმა „საბად ნეპმა“ ვარშავის თათბირს უძღვნა მოწინავე სტატია სათაურით: „მშვიდობის დასაცავად“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ვარშავის განცხადებას ხელი მოაწერეს იმ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებულნი გერმანიის საკითხის გადაჭრით და რომელთა უმეტესობამაც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ორჯერ განიცადა გერმანიის აგრესია“.

„საბად ნეპი“ ეხება გერმანიის მიერ რეპარაციების გადახდის საკითხს და აღნიშნავს, რომ ინგლისელებმა და ამერიკელებმა საქონლის მიწოდების სახით და სხვა გზებით გერმანიისაგან იმაზე მეტი დოლარი მიიღეს, რასაც საბჭოთა კავშირი რეპარაციების სახით მოითხოვდა.

უნგრეთის პროფკავშირთა ორგანო „ნეპსავა“ აღნიშნავს, რომ „ვაშინგტონის მთავარი მიზანია ხელში ჩაიგდოს დასავლეთი გერმანიის სამრეწველო ცენტრები, ნედლეულის მთავარი ბაზები, დაიპყროს მთავარი პოზიციები დასავლეთ გერმანიაში“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვარშავის თათბირი, იყო მშვიდობის თათბირი, რომ მისი გადაწყვეტილებანი გვიჩვენებენ გერმანიის საკითხის მოწესრიგების გზას.

რვა მინისტრის განცხადებას კომენტარს უკეთებენ აგრეთვე უნგრეთის დანარჩენი გაზეთები. ყველა ისინი აღნიშნავენ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ვარშავის თათბირის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას.

რუმინეთი

ბუქარესტი, 26 ივნისი. (საკდესი). დღეს ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა სსრ კავშირის, ალბანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთისა და უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადება.

გაზეთი „სკინტეია“ მოწინავე სტატიაში სწერს: „განცხადება ზღვრული სიცხადით აყალიბებს გერმანიის საკითხში ვარშავის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკურ მიზნებს. ეს მიზნები შეეფერებიან მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ხალხების და მათ შორის დასავლეთ ევროპის ხალხების ინტერესებს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მეტად დაზარალდნენ გერმანიის აგრესიისაგან, და ამიტომ ყოველი შესაძლებელი მოიმოქმედეს მისი განმეორების თავიდან ასაცილებლად. განცხადება გახდება ყველა იმათი ბრძოლის დროშა, ვინც იბრძვის იმისათვის, რომ გერმანია კვლავ არ გადაიქცეს ახალი მსოფლიო ომის კერად“.

გაზეთი „უნივერსული“ მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ლონდონის კონფერენციის კომუნიკე წარმოადგენს ევროპის უღირსეს სამარცხვინო და აღმაშფოთებელ დოკუმენტს“ და რომ „ლონდონის გადაწყვეტილებანი ეწინააღმდეგებიან მშვიდობის ინტერესებს, ხალხთა ინტერესებს, მათ მისწრაფებას სამუდამოდ მოეღონ ბოლო ომის გერმანულ კერას და მოიპოვონ მტკიცე მშვიდობა“. „ვარშავის თათბირის განცხადებაში, — განაგრძობს გაზეთი, — გაისმის ხმა მთელი კაცობრიობისა, რომელსაც არა სურს შეიწყნაროს, რომ მშვიდობა და ხალხთა სიმშვიდე დამოკიდებული იყოს ომის გამჩაღებლებზე. ვარშავის თათბირის წინადადებანი წარმოადგენენ იმ მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინადადებებს, რომლებიც მზად არიან დაიცვან მშვიდობა რადაც უნდა დაუჯდეთ“.

გაზეთი „რომინია ლიბერა“ ხაზგასმით აღნიშნავს განცხადების ისტორიულ მნიშვნელობას და სწერს: „მშვიდობის პრობლემის გადასაჭრელად კონკრეტული, საქმიანი წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო 24 ივნისის განცხადებაში, ააშკარავებენ პროვოკატორთა ფანდებს და განამტკიცებენ მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის რწმენას დემოკრატიის ანტიიმპერიალისტური ბანაკის ძალებისადმი“.

ბულგარეთი

სოფია, 26 ივნისი. (საკდესი). ყველა გაზეთმა დიდრონი სათაურებით გამოაქვეყნა სსრ კავშირის, ალბანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთისა და უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ვარშავის თათბირზე მიღებული განცხადება.

გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ კომენტარს უკეთებს ამ განცხადებას და აღნიშნავს, რომ გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების კონკრეტული პროგრამა, რაც ჩამოყალიბებულია რვა მინისტრის განცხადებაში, გამოდინარეობს საერთაშორისო მდგომარეობისა და ევროპაში ძალთა თანაფარდობის რეალური შეფასებიდან.

ბელგია

ბრიუსელი, 26 ივნისი. (საკდესი). ბრიუსელის ყველა გაზეთი დიდრონი სათაურებით იუწყება გერმანიის საკითხზე ვარშავაში რვა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის გადაწყვეტილებებს.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გაერთიანება

პრაღა, 27 ივნისი. (საკდესი). დღეს პრაღაში შედგა კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ორივე პარტიის გაერთიანებას ჩეხოსლოვაკიის ერთიან კომუნისტურ პარტიად.

კრებას დაესწრნენ 2.361 დელეგატი, სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიების 84 ცენტრალური კომიტეტის წევრი, 500-მდე სტუმარი და ჩეხოსლოვაკიის ყველა იმ პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ეროვნულ ფრონტში შედიან.

კრება გახსნა სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიების გამაერთიანებელი ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა ანტონინ ზაპოტოცკიმ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა, ეროვნული კრების თავმჯდომარემ დოქტორმა იონმა გამოაქვეყნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის, რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის მისასალმებელი წერილი. კრებამ გრძელი ოვაციით შეხვდა გოტვალდის მისალმებას და მიიღო გადაწყვეტილება — საპასუხო წერილი გაუგზავნოს მას. კრების მისამართით მიღებულია 500-ზე მეტი დეპეშა ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ორგანიზაციისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებისაგან, რომლებიც მიესალმებიან კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გაერთიანებას და ჩეხოსლოვაკიის ერთიანი კომუნისტური პარტიის შექმნას.

სლოვაკიის კომუნისტური პარტიის სახელით კრებას მიესალმა ამ პარტიის გენერალური მდივანი ბაშტოვანსკი. „ორი მუშათა პარტიის გაერთიანება, — განაცხადა ბაშტოვანსკიმ, — წარმოადგენს ძირითად და მთავარ წინაპირობას ჩეხოსლოვაკიის ერთიანი ხელმძღვანელობის მქონე ერთიანი კომუნისტური პარტიის შესაქმნელად. ასეთ პარტიას ჩვენ უახლოეს მომავალში შევქმნით“. ბაშტოვანსკის მიერ საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის სახელის ხსენებას კრება შეხვდა მქუხარე, ალფრთოვანებული ოვაციით და შეძახილებით: „გაუმარჯოს დიდ სტალინს“.

კრებას მიესალმნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე, მინისტრი შლინგა, სახალხო პარტიის თავმჯდომარე, მინისტრი პეტრი, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი კოლსკი, ჩეხოსლოვაკიის მუშათა მოძრაობის უხუცესი მოღვაწე კოუშოვა და მშრომელთა, ჩეხოსლოვაკიის არმიისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალი დელეგაცია.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ზდენეკ ფირლინგერმა, რომელმაც დაწვრილებით გაუკეთა ანალიზი ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ თავისი არსებობის 70 წლის განმავლობაში განვლილ გზას. ფირლინგერმა, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ, მწვავედ გააკრიტიკა დასავლეთის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიაში მათი ხელქვეითების გამცემლური საქმიანობა, რომლებიც თავის პატრონთა სამებლად ცდილობდნენ ჩეხოსლოვაკიელი ხალხი ახალ უბედურებაში ჩაეთრიათ და მისთვის თავს მოეხვიათ ახალი მიუნხენი. ჩვენ, — განაცხადა ფირლინგერმა, — იძულებით კი არა, არამედ ჩვენი ნებით ვერთიანდებით და ვხელმძღვანელობთ ჩვენი ხალხისა და სოციალიზმის უმაღლესი ინტერესებით. ჩვენ კომპარტიაში შევდივართ წმიდა გულით, მტკიცე რწმენით, რომ ამრიგად საუკეთესოდ შევასრულებთ ჩვენს სოციალისტურ იდეალებს. ჩვენ შევდივართ ისეთ პარტიაში, რომელიც განასახიერებს ცოცხალ შემოქმედებით მარქსიზმს, რომლის სათავეშიც დგას კაცი, ვისიც ჩვენ ყველას გვჯერა, — ჩვენი პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი. ჩვენ ძლიერ მოკავშირეებთან — საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვა დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ხელიხელჩაკიდებულნი ვივლით წინ ბედნიერი მომავლისაკენ, სოციალიზმისაკენ.

კრებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ანტონინ ზაპოტოცკიმ, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მუშათა კლასმა, — სთქვა ზაპოტოცკიმ, მძიმე ბრძოლისა და განსაცდელის სკოლა გაიარა, რომ თავისუფლება მოეპოვებინა. ამ ბრძოლისა და გამარჯვებებისათვის მუშათა კლასს ესაჭიროება არა მარტო იდეები, არამედ ცოცხალი ბელადებიც, რომლებიც ამ იდეების ცხოვლეუნარიანობას და ძალას განასახიერებენ. ასეთი ბელადები არიან მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი. დიდი ბელადების — მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მოძღვრებისა და მცნების ერთგული დარჩება მუდამ ჩვენი პარტია. ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ პარტია არის მუშათა კლასის ავანგარდი და ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა. ჩვენი პარტია ახლა ხელმძღვანელი პარტია გახდა ჩვენს ქვეყანაში. ეს უდიდეს პასუხისმგებლობას და უდიდეს მოვალეობებს აკისრებს მას. კომუნისტები არიან მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, რომელმაც ყოველთვის და ყველგან საქმით უნდა დაამტკიცოს მშრომელთა მასების წინამძღოლის როლი. რწმენას გამოვთქვამ, რომ ამ საპატიო როლს ჩვენი პარტია ჩვენი პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის ხელმძღვანელობით ღირსეულად შეასრულებს.

დასასრულ კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა რუდოლფ სლანსკიმ. კრებამ მიიღო მანიფესტი ჩეხოსლოვაკიის ერთიან კომუნისტურ პარტიად კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გაერთიანების შესახებ.

დღეს, — ხაზგასმით აღნიშნულია მანიფესტში, — სრულდება მუშათა კლასის საუკეთესო შვილთა ოცნება. ჩეხოსლოვაკიის ორი მუშათა პარტია — სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიები — ერთიანდებიან ჩეხოსლოვაკიის ერთიან დიად კომუნისტურ პარტიად. ჩვენ სიამაყით ვატარებთ ჩვენს დროშებზე მეცნიერული სოციალიზმის დიდი ფუძემდებლების მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის სახელებს.

გენერალ კლეის განცხადება

ბერლინი, 26 ივნისი. (საკდესი). გუშინ პრეს-კონფერენციაზე ბერლინში ამერიკის სამხედრო გუბერნატორმა გენერალმა კლეიმ განაცხადა, რომ მალე შეიქმნება სამი სახელმწიფოს მმართველობა გერმანიის ოკუპაციის ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული ზონებისათვის.

მისი სიტყვით, ასეთი სამმართველოს შესაქმნელად მთელი მოსამზადებელი მუშაობის გაწევა მან მიანდო სპეციალურ კომიტეტს, რომელსაც ყველა რწმუნება აქვს და რომელიც პირადად მას ემორჩილება.

ამავე დროს პრეს-კონფერენციაზე განცხადებულ იქნა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის სამხედრო ადმინისტრაციებიც შექმნიან ანალოგიურ კომიტეტებს, რომლებიც „მჭიდრო თანამშრომლობას“ ამერიკის კომიტეტთან. სამი სახელმწიფოს მმართველობის მომავალი სტრუქტურა განსაზღვრულ იქნება იმ დებულებებით, რომლებსაც მოკავშირეები საოკუპაციო სტატუტით ინარჩუნებენ.

როგორც აღნიშნავს სააგენტო იუწყება, დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ მოღვაწეთა პირველ კომენტარებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ფაქტიურად სამი სახელმწიფოს მმართველობის შექმნა დაკავშირებულია გერმანიის გაყოფის ოფიციალურ აღიარებასთან. ფიქრობენ, რომ კანონი სამი სახელმწიფოს მმართველობის შესახებ ამა წლის ივლისის მეორე ნახევარში გამოქვეყნდება.

მდგომარეობა პალესტინაში

პარიზი, 27 ივნისი. (საკდესი) ფრანს პრესის სააგენტომ ტელ-ავივიდან მიიღო ცნობები, რომელთა მიხედვით ეგვიპტის შეიარაღებულმა ძალებმა 25 ივნისს ღამით იერიში მიიტანეს ებრაელთა ახალშენ კფარდარზე, ნეგევის რაიონში.

პარიზი, 27 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო ტელ-ავივიდან იუწყება, რომ ეგვიპტის მთავრობამ დაადასტურა თავისი განზრახვა — ხელი შეუშალოს ებრაელების მიერ გაგზავნილ სასურსათო ავლებს — მიაღწიონ ნეგევს. პალესტინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლის შტაბის ეფრონმა პოლკოვნიკმა ბუნდემ გუშინ დილით განაცხადა, რომ მას ძრიად სერიოზულად მიაჩნია მდგომარეობა. „პირველი შემთხვევაა, — განაცხადა მან, — რომ ჩვენ სრულიად ოფიციალურად განვსხვავდებით ერთმანეთისაგან დაზავების დარღვევისა და დაზავების შესახებ შეთანხმების დარღვევის, რამდენადაც ეგვიპტის მთავრობის მიერ ამ საკითხში დაკავებული პოზიცია აშკარად ეწინააღმდეგება ადგილობრივ ინციდენტთა ფარგალს, რომელსაც მოწესრიგებასაც დღემდე ვეწეოდით“.

ახალი წიგნები

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ („საქპარტგამი“) გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები:

ბ. გ. ბელინსკი — „წერილი გოგოლს“ გ. ...ს[illegible] ... თარგმანი ვ. მგალობლიშვილისა. ფასი 3 მანეთი.

დ. შენგელაია — მოთხრობები. წიგნში მოთავსებულია 11 მოთხრობა. რედაქტორია ირ. აბაშიძე. წიგნი შეიცავს 156 გვერდს და ღირს 12 მანეთი.

არჩილ ჩაჩიბაია — მოთხრობები. წიგნში შეტანილია „პაპიშვილის სიმღერა“, „ძლება“, „მხედარი“, „მე ისევ შევეყრები მზეს“, „მეგობრები“ და სხვ. რედაქტორია გ. ნატროშვილი. წიგნი შეიცავს 186 გვერდს და ღირს 15 მანეთი.

ლ. კუტუბიძე — „ღრმა ზღვების საიდუმლოებანი“. წიგნში აღწერილია ზღვის ცხოველების ცხოვრება, დასურათებულია მხატვარ ა. კანდელაკის მიერ, შეიცავს 22 გვერდს და ღირს 2 მანეთი.

ალ. ჯაფარიძე — „თეთნულდი“. რედაქტორი ი. ასლანიშვილი. წიგნში აღწერილია საქართველოს ალპინისტების ასვლა თეთნულდის მწვერვალზე ცნობილი ალპინისტის ალექსანდრე ჯაფარიძის მეთაურობით. ფასი 6 მანეთი.

ეკ. გაბაშვილი — საბავშვო მოთხრობები. წიგნში მოთავსებულია „მაგდანას ლურჯა“, „ღვინია გადაიჩება“, „ოჯახის ბურჯი“, „ნაკადული“, „სამინელი შემთხვევა“ და სხვ. სულ 16 მოთხრობა, წიგნი, რომლის რედაქტორია დ. მაისურაძე, შეიცავს 98 გვერდს და ღირს 7 მანეთი.

ი. თუმანიანი და ა. ისაჰაკიანი — ორი ზღაპარი: „ოქროს ქალაქი“ და „ყველაზე სასარგებლო რამ“, თარგმანი ა. დავითიანისა, რედაქტორი ვ. კიკნაძე. ფასი 3 მანეთი.

ა. იაკოვლევი — „დედამიწის წიაღში“, თარგმანი ე. წულაძისა, რედაქტორი ვ. ჯიბუტი. ფასი 2 მანეთი.

„პიონერი“ № 5

გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი „პიონერი“ № 5 (მაისი).

ჟურნალში წარმოდგენილია შემდეგი მასალები: პირველი მაისი (წერილი), მ. დავითაშვილი — ქართველები გერმანიაში (ნარკვევი), ა. შენგელია — მაისის სიმღერა (ლექსი), ე. ებილავა — არმხუტუ (მოთხრობა), ი. მარგიანი — გამოცდები (ლექსი), ნ. ჯაში — ახალგაზრდობა უნდა ღებულობს მეცნიერებას (კომკავშირის XXX წლისთავისათვის), ნ. ბერიანიძე — ნიშნების საუბარი (პიესა), ო. ნემსაძე — პიონერული ბანაკი (წერილი), გვიხმობენ მშობლიური მხარეები (წერილი), როგორ ჩავეწეროთ დაკვირვება (წერილი), ა. აბშილავა — ორმოცდამეერთე ყრმა (ბალადა), შ. გვინიძე — წიგნი ადამიანის მეგობარია (წერილი), ი. არაბული — მაისი (ლექსი), მიხეილ ბოტვინიკი — მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში (წერილი), ნორჩ მოგზაურს უნდა ახსოვდეს (წერილი), ე. მარკოვი — პიონერები, დაიცავით მცენარე და ფრინველი (წერილი), ბ. მახაბაშვილი — ნორჩი მებაღე (ლექსი), შ. ვადბოლსკაია — შითამ-კაპიტანი (ნარკვევი), ახალი მიწის პიონერები (ნარკვევი), ვ. ქერული — გაზაფხული სტალინის ბაღში (ლექსი).

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე: გასართობი, ნორჩ მოგზაურთა სულიკეების საორიენტაციო რუკა და პასუხები ჟურნალში დაბეჭდილ გამოცანებზე.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების ი. გაბაშვილის, ა. გიგოლაშვილის, ირ. რაზმაძის, ე. ბელეცკაიას და სხვათა მიერ.

ლექცია

30 ივნისს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (ჩუბინიშვილის ქუჩა № 132) შედგება დოცენტ ჟღენტის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

30 ივნისს, საღამოს 8 საათზე მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მოლოტოვის რაიკომის IV პლენუმი.** დღის წესრიგი: რაიონის პარტორგანიზაციებში პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკის შესახებ.

30 ივნისს, საღამოს 8 საათზე, კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში (ელია ჭავჭავაძის ქ. № 2) მოწვეულია **საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის IV პლენუმი.**

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

თბილისის საავიაციო ტექნიკუმი 1948-49 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას ტექნიკუმის პირველ და მესამე კურსებზე.

ტექნიკუმში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ორივე სქესის პირები.

მეცადინეობა ტექნიკუმში სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

[illegible]

1948-49 სასწავლო წელს თბილისის, ქუთაისისა და ზუგდიდის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლებში მიღების პირობები

სასწავლებელს აქვს ორი განყოფილება — საკლუბო და საბიბლიოთეკო. საკლუბო განყოფილება ამზადებს კულტურის სახლების, კლუბების, ქოხ-სამკითხველოებისა და კულტურისა და დასვენების პარკების ხელმძღვანელებსა და მუშაკებს. [illegible]

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1948 წლის 19 მაისის № 13 დადგენილებით ქ. თბილისის ფარგლებში ყოველგვარი რეკლამის ორგანიზაცია გადაცემულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გამგებლობაში და განხორციელდება საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სარეკლამო ბიუროს მიერ. [illegible]

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. [illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000